# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 18 კვირა, 24 იანვარი 1910 წ. № 18

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახავს, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან საღამოს 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



ჟურნალ „ნაკადულის" რედაქცია გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ და ქართველ საზოგადოებას, რომ ხუთშაბათს, 21 იანვარს, გარდაიცვალა ჟურნალის რედაქტორი

მარიამ ივანეს ასული დემურიასი.

პანაშვიდები დღეს 22 და ხვალ 23 იანვარს წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში (ჩუღურეთში) საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა კვირას, 24 იანვარს კუკიის სასაფლაოზე. წირვის დასაწყისი დილის 9½ საათ.

ამხანაგნი და ამხანაგნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას

მარიამ ივანეს ასულის დემურიას

გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს 6 საათზე, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში (ჩუღურეთში) დაკრძალვა კვირას, 24 იანვარს. წირვის დასაწყისი დილის 9½ საათზე. (3—3)

ზუბალაშვილების სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის გამგეობა მწუხარებით აუწყებს წრის წევრთ და საზოგადოებას, რომ 21 იანვარს ქალაქ ტფილისში უეცრად გარდაიცვალა გამგეობის თავმჯდომარე

მარიამ ივანეს ასული დემურია.

დაკრძალვა კვირას, 24 იანვარს, კუკიის სასაფლაოზე. პანაშვიდი დღეს, საღამოს 6 საათზე, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში (რიყის ქუჩა, ჩუღურეთი). წირვის დასაწყისი დილის 9½ საათზე. (2—2)

მიხეილ და ივანე ვასილის ძენი დემურიები გულითადის მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, მათის ძვირფასის დედის

მარიამ ივანეს ასულის დემურიას

მოულოდნელ გარდაცვალებას.

წარმოდგენა № 29. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 29.

კვირას, 24 იანვარს 1910 წელს.

პირველი გასტროლი ნინო ჩხეიძისა

ქართულ დრამატიულ საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

ალ. დიუმას-შვილის პიესა.

**მარგარიტა გოტიე**

დრამა 5 მოქმედებად თარ. დ. მესხისა.

მარგარიტას როლს შეასრულებს ნინო ჩხეიძე.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, მ. მდივანი, ბ. ნებიერიძისა, ნ. ჯავახიშვილი, ბ. მღებრიშვილი, ბ-ნნი კ. ანდრონიკაშვილი, გომელაური, გ. გედევანოვი, ი. ზარდალიშვილი, მგალობლიშვილი, იმხნელი.

ადგილების ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად. ვ. ყიფიანის „სამეგრელოს მთავარი ლევან", ამ პიესისათვის იხატება ახალი დეკორაციები, ი. გომართელისა „დრამატიული გამგეობის წევრი", შოლომ აშის, „შურის ძიების ღმერთი".

რეჟისორი კოტე მესხი. რეჟის. თანაშემწე ვ. ურუშაძე.

დრამ. საზოგადოების ადმინისტრაცია.

მცხეთის დედათა მონასტრის ოთხ-კლასიან ქალთა სასწავლებლის სასარგებლოდ კვირას, 24 იანვარს, გაიმართება

**საღამო**

1. ბ-ნი გ. ბ. გვაზავა წაიკითხავს ლექციას: „ნორა იბსენისა.—ევოლუცია ქორწინებისა და თავისუფლება პიროვნებისა.—ოჯახი და მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

2. დივერტისმენტი: სიმღერა, ლექსები, კუპლეტები.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნ მიტკევიჩ-იანოვსკაია (შეასრულებს ქართულ რომანსებსაც), ბ-ნნი საკოლსკი, გედევანოვი, კავსაძე თავის ხოროთი, ბ. ფალიაშვილი, ნ. ერისთავი, გოცირიძე, გრიშაშვილი და სხვანი.

3. ცეკვათამაში

დაუკრავს მუსიკა და საზანდარი.

ბილეთების ფასი 1 მ., მოსწავლეთათვის 50 კ. დასაწყისი რვა საათზე.

საღამო გაიმართება ქალაქის ბირჟის ზალაში, ერევნის მოედანთან.

(4—4) საღამოს დიასახლისი ქნ. დ. ჯავახიშვილისა.

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.**: შინ. და ბავშვ. ყ.- და პარას. 1—2 ს. დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ.,

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (100—6.—92)

კვირას, 24 იანვარს, დილის 11 საათზე, სამეურნეო ბანკის დარბაზში დანიშნულია ქართულ დრამატიულ საზოგადოების

**საზოგადო საგანგებო კრება**

განსახილველი საგნები: 1. დრამ. საზ. გამგეობის მოხსნება საპენსიო თანხის დაარსების შესახებ; 2. გამგეობის სამის წევრისა და ერთის კანდიდატის არჩევა; 3. მიღება ახალ წევრთა.

თუ საკმაო რიცხვი წევრთა არ გამოცხადდა, კრება გადიდება შემდეგ კვირისათვის. (2—2)

ცნობილი ფირმა აბრეშუმის თესლისა

**ხრისტო ს. ხრისტოდულიდისა**

ამით აცხადებს, რომ მან გადასცა ამა 1910 წლიდან რამდენიმე წლით განსაკუთრებული უფლება გაყიდვისა თავის ფირმის აბრეშუმის თესლისა სავაჭრო სახლს ი. გოკიელოვის შ—ს ქუთაისში და სთხოვს ყველა მისს თესლის მყიდველს, მიმართონ მას საკუთარ სავაჭროში ქ. ქუთაისში. (30—6.—5)

კვირას, 24 იანვარს, დილის 10 საათზე, ბირჟის დარბაზში (შუაბაზარი) დანიშნულია ტფილისის ვაჭარ-მრეწველთა საზოგადოების წევრთა

**დამფუძნებელ კრების**

გაგრძელება. (2—138—2)

**ძმ. ნიკიტინების ცირკი.**



კვირას, 24 იანვარს, 1910 წელს, ორი წარმოდგენა დილით იაფ-ფასიანი დასაწყისი 2 ს. მაიმუნი-კაცი, და გაწვრთნილი ძაღლები. დასასრულ კომიკ. პანტომიმა „ბავშვების ქურდი". საღამოთი დაიწყება ჭიდაობა საერთა-შორისო ჩემპიონი. ჭიდაობა მოაწყო ცნობილმა სპორტსმენმა პ. ღ. იაროსლავცევმა. პრიზები დანიშნულია 5000 ფრანკი, საპატიო შარფი, ოქროსა და ვერცხლის მედლებია. მატჩები ცალკე პრემიებზე იმ მოჭიდავეთათვის, რომელნიც 1 თებერვლის შემდეგ ჩაეწერებიან. ჭიდაობა გასტანს მხოლოდ 30 დღეს. დღეს სამი ჭიდაობა: 1. ნოლლი-ვერვეტ—ხორუნჟი; 2. შმარკოუსკი—მურზუკი; 3. რაზუმოვი—კრასაცი. მოჭიდავების გამოსვლა და ჭიდაობა მოხდება მე-3 განყოფილებაში დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. დაწვრილებით პროგრამებში.

(1—139—1) დირექტორი ა. ნიკიტინი. გამგე გამსახურდია.

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ვ. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—254)

ქ უ თ ა ი ს შ ი

კბილის ექიმის დ. ს. რიჟინაშვილის კაბინეტთან გ ა ი ხ ს ნ ა

**სამკურნალო**

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. ვიტუშინსკის აფთიაქის გვერდით. (100—6.—90)

**ქუთაისში** ექიმი გაბ. იოს. გოკიელოვი

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 ს. და საღამოთი 5½—6½ ს. ვენერიულ სნეულებით ავადმყოფების მიღება და აგრეთვე ცისტოსკოპია და ურეტროსკოპია (ელექტრონის სინათლის საშუალებით ბუშტების და საშარდე მილის გასინჯვა) საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა. ე ლ ე ქ ტ რ ო ტ ე რ ა პ ი ა — ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (25—კვ.—15)

**ექიმი** შ. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაბგეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—8)

**ექიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ, შარდის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (ქარხანა). (25—კვ.—6)

სპეციალისტი ექიმი ქუთაისში

ჩ ა რ ე ქ ო ვ ი

იღებს განსაკუთრებით სიფილისიან, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გეგუთის ქუჩა), აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლი. დილით 12—2 ს. საღამოთი 6 საათზე. 25—ფ.—21

**ექიმი** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დ ე მ ი დ ო ვ ი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა. (0—586—350)

**ექიმი** გ. მ ა გ ა კ ი ა ნ ი

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—6 ს, მიხეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—ხალ.—79)

**ექიმი** ა ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** ე. ვ ა შ ა კ ი ძ ე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—42

**ექიმი** კ ბ ი ლ ი ს ა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი** დ. ახვლედიანი

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—6.—83)

**ექიმი** ვ. ლ ა მ ბ ა შ ი ძ ე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი** ა. ი. შჩერბინინა

ველიკოკნიაჟის ქ., N 66, კრილოვის ქ. პირდაპირ. ავად. მიიღება 1—2 ს. ტელეფონი N 715. შინაგანი, ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობანი. (100—1031—2)

**ექიმი** ვასილ წერეთელი ქ უ თ ა ი ს შ ი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—99)

ვექილოგ დაცვას

სისხლის სამართლის საქმეებისას ყველა სამოსამართლო დაწესებულებაში. ვაწარმოებ საქმეებს: ცოლ-ქმრობის განქორწინებისას, ადმინისტრ., წოდებრივ, გლეხების და სხვას; უძრავ ქონების გაყიდვას, დაგირავებას საკრედ. დაწესებულებებში. ვადგენ: თხოვნებს უმაღლესს სახელზე, ბავშვების შვილად აყვანისა და დაკანონებაზე, ცალკე საცხოვრებლად პასპორტის მიღებაზე, სამხედრო ბეგრის საქმეებზე, საჩივრებს კერძოს, სააპელაციოს, საკასაციოს; ვაძლევ სხვა და სხვა ცნობებს, განმარტებებს; ვადგენ საასპექტო ანგარიშებს, პროექტებს ხელ-შეკრულებებისას, პირობებისას, ვალდებულებებისას და სხვა საქმის ქაღალდებისას ყველა დაწესებულებაში. ვაძლევ რჩევებს ყველა საქმეში. მაქვს ოცი წლის გამოცდილება. მიღება ყოველ დღე დილით 8—10 ს., საღამოთი 5—8 საათზე.

ტფილისი. დიდი ვანქის ქუჩა, N 3 (სადაც სამხედრო ექიმების სამკურნალოა), ბინა N 4. (წ.—6.—28)


# დღიური

ქართული თეატრი

ქართული თეატრი... მართალი ვსთქვა, ძლიერ მეძნელება ამ საგანზე წერა. ქართული, თეატრი, სამოცი წლის წინად დაარსებული, რომელმაც შეგვძინა არა ერთი და ორი მაღალის ნიჭით შემოსილი არტისტი, რომელმაც ბევრჯელ გვაგრძნობინა უმშვენიერესი სიამოვნება, რომელმაც ეგეთი დიდი გავლენა იქონია ჩვენს გათვითცნობიერებაზე,—დღეს ეს თეატრი თითქმის სრულებით აღარ არსებობს. იგი წარსულშია მხოლოდ, მოგონებით, გარდასულის აჩრდილებით ცხოვრობს, აწმყო კი აღარა აქვს. კარგა ხანია, დაცემისაკენ დაექანა ტფილისის თეატრი, რამდენჯერმე უკვე აღნიშნული, იყო მისი კრიტიკული მდგომარეობა ხოლო წელს მიაღწია ისეთ უკიდურესობამდის, რომელიც ბევრს, უეჭველია, სასოწარკვეთილებას დაუბადებს ქართული თეატრის არსებობის შესახებ.

წლევანდელი სეზონი უთუოდ სამსახურს გაუწევს ტფილისის თეატრის ბედის გადაწყვეტას თავის უარყოფით. ამნაირი უხალისო, უთავბოლო, უაზრო, უშინაარსო, მკვდარი წელი ჩვენს თეატრს არ ახსოვს. თითქოს განზრახ ყველაფერი ისე მოწყობილიყოს, რომ მტერს ეთქვა: „აი უტყუარი საბუთები ქართულ თეატრის უნიადაგობისა და მოსპობისა! რას თვალმაქცობთ, ვის ატყუებთ, რას ფხაკურობთ, ამაოა ყოველი ცდა, მკვდარს ვერ აღადგენთ და უსარგებლოდ ნულარ ჰფანტავთ ფულსო"!

ჩვენი თეატრი, რომელიც საყვარელი ტაძარი უნდა იყოს ჩვენთვის, უიმედოებს რწმენით უნდა შეგვმოსავდეს, დაუძლურებულებს სიმხნევეს ჩაგვინერგავდეს, გადაგვარებულებს მოგვარჯულებდეს,—წელს უფრო გვიკარგავდა იმედს, გვიკლავდა სურვილს, გვიუძლურებდა სულს და თეატრში მყოფნი მოუსვენრად მოველოდით წარმოდგენის გათავების წამს, რომ გამოვარდნილიყავით გარედ, გავშორებოდით დახშულს ჰაერს, აღარ გვენახა აუტანელი სინიმდვილე ქართულ სცენისა.

სად არის ქართული თეატრი გიორგი ერისთავისა? სად არიან არტისტები, შემოქმედები ცხოვრებისა და გაცხოველებულის ოცნებისა სცენაზე? სად არის ქართული დრამატიული ხელოვნება, რომლის ადგილი დღეს მტკიცედ დაუმკვიდრებია ბალაგანობას? განა არტისტები არიან ადამიანები, რომლებს პლასტიური მიხვრა-მოხვრა კი არა, უბრალო სიარულიც-კი არ ეხერხებათ, თითქოს ფეხებში ბორკილები ჰქონდეთ გაყრილი, რომლების გამოთქმა ქართულს ენას გვაძულებს, რომლების სახე და მოყვანილობა სილამაზის მგმობელია?!!

განა შემოქმედებაა ველური ღრიალი, შეუსაბამოდ ხელების ქნევა, უმიზეზო ოხვრა, თვალების ღრიალი, წამ და უწუმ ჩახველება და დამუნჯება, როცა აღელვებულის გულიდან უსაზღვრო გრძნობას უნდა ამოხეთქოს? განა არტისტობაა, როცა მოთამაშეს არა გაეგება, რასაც თამაშობს და მხოლოდ ტიკინსავით იმეორებს ნაკარნახევ გაუგებარს სიტყვებს, და არც გრძნობის და არც გონების ნასახი არ მოეპოვება. ადამიანი უნიჭო, ადამიანი უგრძნობი, ადამიანი მუნჯიხე, უვიცი,—აი საშუალო ტიპი დღევანდელ ქართველ არტისტისა, რომელსაც თვისით შემოქმედება კი არა, სხვისი შემოქმედებას განადგურება ძლა შეუძლია, რომელიც დაუძინებელი მტერია ყოველი განვითარებისა!

განა ხელოვნების წარმოდგენაა, როცა აზრისა და გრძნობათა ღელვის მაგიერ ჩვენ ვხედავთ სცენაზე ბაიშების დაწერილს პიესებს, პიესებს ყოვლად სუსტებს, უვარგისებს მთელის მსოფლიო მწერლობაში?..

სამოცი წლის შემდეგ ტფილისის ქართული თეატრი, მოვიდა იქ, საიდანაც იწყებს არსებობას ყოველი თეატრი დღეს იგი მარტოოდენ სცენის მოყვარეთა, ხშირად უნიჭო სცენის-მოყვარეთა სავარჯიშო ასპარეზია; დღეს იგი მხოლოდ განუვითარებელ აზრების და გრძნობების გამომხატველია! და აქ გაჩერება არ შეიძლება:

ან სრული მოსპობა, ან სრული განახლება.

სიტყვა.

# სახელმწიფო სათათბირო

(სააგენტოს დეპეშები)

22 იანვარს სათათბირომ მოისმინა ს.-დემოკრატიულ ფრაქციის შეკითხვა. როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, ამას წინად პეტერბურგში მოხდა კრება ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ. კრებაში დიდი მონაწილეობა მიიღეს მუშების წარმომადგენლებმა. კრება ჯერ დათავებული არც-კი იყო, რომ მთავრობამ დევნა და დაპატიმრება დაუწყო კრებაში მონაწილე მუშებსა. და მუშათა ორგანიზაციებს. აი, ადმინისტრაციის ამ უკანონო მოქმედებას შეეხებოდა შეკითხვა. სათათბირომ უარჰყო შეკითხვის სისწრაფე და მხოლოდ ერთი თვის ვადა დაუნიშნა კომისიას შეკითხვის წარსადგენად.

დანარჩენი სხდომა სათათბირომ მოანდომა ადგილობრივ სასამართლოს შესახებ კანონპროექტს ანუ, უკეთ, ამ კანონ-პროექტის ერთ მუხლს, მე-19-ს, რომელიც შეეხება ცენზს მოსამართლის არჩევის დროს. ცენზი მეტად დიდია დანიშნული და ოპოზიციის ყველა ორატორი ამის წინააღმდეგ ლაპარაკობდა. სიტყვები წარმოსთქვეს აჯემოვმა, როდიჩევმა, ბოლოუსოვმა და სხვებმა. ყველა ამათ და სხვა მემარცხენეთა აზრით საკმაოა განათლების ცენზი,—უმაღლესი იურიდიული განათლება. ცენტრი და მემარჯვენენი-კი იცავდნენ ქონებრივ ცენზს. ბოლოს ოქტომბრისტებს ალბად შერცხვათ და მცირეოდენი შესწორება შეიტანეს: საერობო კრებას შეუძლიან ¾ ხმით აირჩიოს მოსამართლეებად ისეთებიც, რომელთაც ქონებრივი ცენზი არა აქვთ.

ამ საგნის განხილვა 22 იანვრის საღამოზე არ დასრულებულა.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 იანვარი.

## სპარსეთი

**ბაქო**. იუწყებიან, რომ კარიაგინის მაზრაში რუსეთის საზღვარზე გადმოვიდა რახიმ-ხანი ოჯახით და თანამოაზრეებით.

## საზღვარ-გარედ

**პარიზი**. ჰავასის სააგენტოს ათინიდან ატყობინებენ: გამოირკვა, რომ ეროვნულ კრებას ამა წლის დეკემბერზე ადრე ვერ მოიწვევენო.

**ვენა**. ლვოვში შეიკრიბნენ ზედა პალატის, რეიხსრატის და სეიმის უკრაინელი დეპუტატები. თავმჯდომარეობდა მიტროპოლიტი შეპტიცკი. კრებაში მონაწილეობა არ მიიღო სტარორუსების პარტიამ. კრებამ ერთხმად დაადგინა, მოსთხოვოს მთავრობას, რომ უკრაინელებს კონსტიტუციის მიერ აღიარებული უფლებები მიეცეთ. კონგრესი შუამდგომლობს, რომ გალიციას გამოეყოს კრაკოვის დიდი სამთავრო და სამეფო დაიყოს ავტონომიურ ეროვნულ განყოფილებებად. ამას გარდა, კონგრესი მოითხოვს, რომ მთავრობამ ბოლო მოუღოს სტარორუსების პროპაგანდას, რომელიც უკრაინელების დამოუკიდებლობის წინააღმდეგარის მიმართული.

**ბერლინი**. მიუნხენის ჟურნალისტებმა უარი განაცხადეს, გაზეთებში დეპუტატთა პალატის სხდომების ანგარიშებს აღარ მოვათავსებთო. დეპუტატთა პალატის პრეზიდიუმმა უკმაყოფილება გამოუცხადა ჟურნალისტებს, პროტესტს აცხადებენ, პალატის სხდომები ძალიან გრძელდება და ამასთან ერთად დემონსტრაციულად გადიან დეპუტატის პალატიდანო.

**ვენა.** გერმანელები და ჩეხები ვერ შეთანხმდნენ სეიმის სხდომების წესრიგის შემუშავებაში. გერმანელებმა ინსტრუქცია განაახლეს. ეს ორი წელიწადია, რაც გერმანელები ობსტრუქციას აწარმოვებენ. ჩეხები მშვიდობიანად შეხვდნენ ობსტრუქციას. სლავიანთა ობსტრუქციის გამო შტირიის სეიმი ვერას აკეთებს. ასეთსავე გარემოებაშია დალმაციის სეიმი. აქ ობსტრუქცია მოახდინა ხორვატიის უფლებათა პარტიამ, რომელმაც სხვა პარტიის დეპუტატები აიძულა სეიმი მიეტოვებინათ.

**კალკუტტა.** საკანონმდებლო საბჭომ მიიღო კანონი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ. ამ კანონით ახლად დაარსებულ გაზეთებს ხაზინაში გირაოდ შეაქვთ ფული, რომელსაც მთავრობა კონფისკაციას უშვრება იმ შემთხვევაში, თუ გაზეთმა ინგლისის საწინაალმდეგო ცნობები გაავრცელა. თუ გაზეთმა ხელმეორედ ესეთივე დანაშაულობა ჩაიდინა, მაშინ უფრო სასტიკი სასჯელი მოელის.

**ბერლინი.** გამოქვეყნდა ახალი კანონ-პროექტი პრუსიის არჩევნების შესახებ. კანონ-პროექტს არჩევნებში შემდეგი ცვლილება შეაქვს: თვითეული ოლქი კურიებად იყოფა და კენჭის ყრაც კურიებში ხდება, მაგრამ კენჭებს მთელ ოლქში ერთად დასთვლიან, ასე რომ მთელ ოლქისთვის მნიშვნელობა ექნება უმცირესობის ხმებსაც. რომ უმაღლესმა კურიებმა მეტი ამომრჩევლები იყოლიონ კურიების დასაარსებლად საჭიროა წინანდელს გარდა ორი ახალი ცენზი—განათლებისა და სამსახურისა. წინანდებურად ახდილი კენჭის ყრა მოხდება. კანონ-პროექტს მიზნათ ექვს გააძლიეროს საშუალო კლასი.

**ვენა.** ამას წინად „ნოვოე ვრემია" სწერდა, რომ პეტერბურგში ამ მოკლე ხანში ჩამოვა ავსტრო-ჰუნგრეთის ტახტის მემკვიდრე ფრანც ფერდინანდიო. ამის შესახებ „ნეიე-ფრეიე-პრესსე" სწერს: თუმცა ვენის დიპლომატიურ წრეებში ცნობა ამის შესახებ არა მართლდება, მაგრამ შესაძლებელია, ფრანც-ფერდინანდი რუსეთში წავიდეს, რადგან მოსალოდნელია, რომ დიპლომატიურ ურთიერთობის გაუმჯობესების შემდეგ, რუსეთის და ავსტრიის მეფესთან დამოკიდებულებაც გამოკეთდეს. თუ ფრანც-ფერდინანდი პეტერბუგში წავიდა, ამას დიდი მნიშვნელობა ექნება. ავსტრო-ჰუნგრეთს მშვიდობიანობის დაცვა სურს და ამ მშვიდობიანობის დაცვისათვის კი საჭიროა რუსეთ-ავსტრიის დაკავშირება. რუსეთ-ავსტრიის დაკავშირებას საფუძლად მარტო ბალკანეთის ეხლანდელ მდგომარეობის დაცვა კი არ უნდა დაედოს, არამედ ისიც თუ როგორ იმოქმედონ ბალკანეთზე მოულოდნელ ამბების გამო. „კორესპონდენტ ბიურო"-ს სიტყვით, ტყუილია ის ხმა, ვითომ ავსტრიის მემკვიდრე ფრანც-ფერდინანდი რუსეთში მიდიოდეს.

### რ უ ს ე თ ი

**პეტერბურგი.** სრულიად რუსეთის ეროვნულმა კლუბმა განიხილა გერმანელ პროფესსორების მოწოდება ფინლიანდიის შესახებ და დაადგინა, ღრმა აღშფოთება გამოუცხადოს მოწოდების ავტორებს. კლუბი თავის განცხადებაში სწერს: უცხოელებმა შეუწყნარებელი შეცდომა ჩაიდინეს ფინლიანდიის უფლებრივ მდგომარეობის გამორკვევის დროს. კლუბს არა სჯერა, რომ ვითომ ალექსანდრე პირველს, რომელმაც ფინლიანდია დაიპყრო, ფინლიანდია განსაკუთრებულ სახელმწიფოდ ელიარებინოს, ფინლიანდიის შეერთების დროს ფინლიანდიელებს დაჰკითხებოდნენ, სურთ ესა თუ არა და რუსეთის ეხლანდელი პოლიტიკა ფინლიანდიის კულტურის დაღუპვისაკენ იყო მიმართული. კლუბი ჰფიქრობს, რომ გერმანელი პროფესორები შეცდომაში შეიყვანეს ზოგიერთმა მოღვაწეებმა, რომლებიც სცდილობენ დამალონ ზოგიერთა ისტორიული დოკუმენტი და ამით შეჰქმნან რაღაც არ არსებული უფლება. გერმანელი პროფესორები რუსეთის შინაურ საქმეებში ჩაერივნენ და ამით დაარღვიეს საერთაშორისო უფლება. ამას გარდა, გერმანელი პროფესორები თავიანთ საქციელით ხელს უწყობენ ორი სახელმწიფოს გადაკიდებას, რის წინაალმდეგაც კლუბი მოქმედებს. ათასი წელიწადია რაც რუსეთი სახელმწიფოებრივ ცხოვრებას ატარებს, აქვს უფლებრივი და ნაციონალური კულტურა, კანონი, ეროვნული თვითშეგნება და უფლება, ამიტომ რუსეთი არა საჭიროებს უცხოელების დარიგებას, თუ რანაირი პოლიტიკა უნდა აწარმოოს და სხვაო.

**ოდესსა.** საერობო გამგეობამ დაადგინა, მოაწყოს მოძრავი სასოფლო-სამეურნეო კინემოტოგრაფი. აზრად აქვთ კინემოტოგრაფის საშუალებით გლეხებს აჩვენონ, თუ როგორ შეიძლება გაუმჯობესებულ საშუალებებით მიწის დამუშავება.

**ვორონეჟი.** სამი შეიარაღებული ბოროტგანმზრახველი სოფელ ნოვოსოლდატკაში თავს დაეცა სოფლის სამართველოს. ბოროტგანმზრახველებმა გაიტაცეს 3,070 მანეთი და მიიმალნენ.

**ტულა.** ოლქის სასამართლომ გაარჩია დრობიშევსკის საქმე. ბრალდებოდა მატარებელში ორი ვაჭრის მოწამვლა და 6000 მანეთის გატაცება. სასამართლომ დრობიშევსკის წლით კატორგა გადაუწყვიტა.

**ვარშავა.** დააპატიმრეს პოლონეთის რკინის გზების უკრაინელთა ამხანაგობის კასირის თანაშემწე, რომელმაც 16,000 მანეთი გაფლანგა. სადღაც დაიმალა ამხანაგობის კასირი. კასირმა თან წაიღო 25,000 მანეთი.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა სახელმწიფო სათათბიროში შეიტანა კანონ-პროექტი, რომლითაც ვიტებსკის, ვოლინის, კიევის, მინსკის, მოგილევის და პოდოლის გუბერნიებში 1890 წლის ტიპის ერობა უნდა იქმნას შემოღებული.

5 თებერვალს ნაშუადღევის 2 საათზე ჩამოვიდა საფრანგეთის პარლამენტის დეპუტაცია.

### არჩევნები ფინლიანდიაში

**ჰელსინგფორსი.** 22 იანვრის ღამის ცნობებით სახალხო პარტიამ მიიღო 7320, მლადოფინებმა—11235, სტაროფინებმა—14432, სოციალ დემოკრატებმა—22841 და აგრარიებმა 2471 ხმა.

**ჰელსინგფორსი.** ჯერ-ჯერობით გამოირკვა, რომ სოციალ დემოკრატებმა მიიღეს 27217, სტაროფინებმა 17235, მლადოფინებმა 12239, სახალხო პარტიამ 10033, აგრარიებმა 2701 და ქრისტიანმა სოციალისტებმა 1233 ხმა.

**ჰელსინგფორსი.** 23 იანვარს გამოირკვა, რომ შვეციელთა პარტიამ მიიღო 10995, მლადოფინებმა—12, 979. სტაროფინებმა 18662, სოციალ-დემოკრატებმა 29,975, აგრარიებმა—4639 ხმა.

## მეგობრის ცხედართან

შესწყდა ქართველთა მოყვარულ გულის ცემა, სამუდამოდ დახუჭა თვალები იმ ადამიანმა, რომლის ცხოვრების მთავარ საგანს ხალხი და მისი კეთილ-დღეობა წარმოადგენდა.

დავკარგეთ მარიამ დემურია, ჯერ ისევ ძალღონით სავსე ორმოცდარვა წლის ქალი, დაუღალავი მუშაკი ყოველს ჩვენს საქმეში.

მარიამ დემურია არ იყო არც მგოსანი, არც ბელლეტრისტი; იგი იყო მუშაკი, საზოგადო მოღვაწე. რომელი ქართველი ინტელიგენტია, რომ ახლოდან თუ შორიდან არ იცნობდეს მარია ივანოვნას! რომელი ქართული საქმეა, რომ მარიამ დემურიას მონაწილეობა არ მიეღოს.

განსვენებულმა ახალგაზრდობიდანვე თავს იდვა ხალხის სამსახური და ნდობა და სიყვარულიც დაიმსახურა ჩვენში. მასთან იკრიბებოდნენ, იმართებოდა კითხვები, სდგებოდა სამუშაო გეგმა და სხვა. მან ითავა და მოაწყო ნაძალადევის სამკითხველო, ავჭალის აუდიტორიაში ქართულ სახალხო კითხვათა და წარმოდგენათა საქმე, სიგუბერნიო და მეტეხის ციხეში ტუსაღებისათვის კითხვა; მან დააარსა საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული" და სხვა.

მარია ივანოვნა ჩუმად, უჩინრად ემსახურებოდა საზოგადო საქმეს. არა ყვიროდა თავის თავზე, მაგრამ შრომობდა განუწყვეტლად, ერთგულად და მტკიცე რწმენით, რომ რაიმე ნაყოფს მოიტანდა იმისი შრომა. არა იზოგავდა თავს, დავიწყებული ჰქონდა თავისი საკუთარი მე, და მსხვერპლად შეეწირა იმ საქმეს, რომელსაც აგერ თხუთმეტი წელიწადია ნამდვილ დედობას უწევდა: თან გადაიყოლა სახალხო წარმოდგენების სვე-ბედმა და სწორედ ამიტომაც მთელი გამგეობის სახელით სამართლიანად განაცხადა ერთმა წევრმა ქალთულ სახალხო წარმოდგენათ მმართველ წრისამ: „თუ „ნაკადულის" რედაქცია გულზე ვერ მიისვენებს თავის ნაამაგდარს დედას, დაე ჩვენის წრის კანტორის სადგომი იყოს მაგ წმიდა ნეშტის დასასვენებელ ადგილად; მაგან შეჰქმნა ჩვენთვის ეს სადგომი და ორიოდე დღე მაინც გაატაროს ჩვენის კონტორის სარეპეტიციო ოთახებში, აქ გადმოასვენეთ, ასეთი არის დადგენილება წრის გამგეობისაო"...

მარია ივანოვნა ერთგვარად კეთილი და სათნო იყო ყველას მიმართ. იგი შრომობდა ჩუმად, არ ღაღადებდა ზოგიერთ ჩვენებურ მოღვაწესავით, და სწორედ ამ მის უჩინარ შრომით იხატებოდა მთელი სიდიადე მისის სულისა, ძლიერის პიროვნებისა.

ვერ დაგაფასეთ, მეგობარო! დღეს, როდესაც ერთის მხრით ვდგევართ ჩვენ, შენი მეგობარ-ამხანაგები, ხოლო მეორეს მხრით—გულხარბად გელოდება შავი სამარე, დღეს ვიგრძენით, რა წრფელი იყო შენი ღვაწლი ჩვენთვის. ჩვენ ვქვითინებთ, გული საშინელის ბოღმით გვევსება, სიბრალული გვწვავს, სამარე-კი სდუმს, მაგრამ იგი უფრო ძლიერია ჩვენზე და საცაა სამუდამოდ დაეპატრონება შენს პატიოსანს ნეშტს, შენს მოყვარულს გულს, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში ხალხისადმი მტკიცე სიყვარულით სძგერდა და სწორედ ამ სიყვარულის გამო შესწყვიტა ძგერა, ვეღარ გაუძლო სიდუხჭირეს ჩვენის უსამართლობისას.

შენ, მეგობარო, არასოდეს არ გიცხოვრია შენის საკუთარის ცხოვრებით, მხოლოდ სხვისთვის ზრუნავდი, და აი ნაყოფი შენის წრფელის სიყვარულისა ის არის, რომ ყველა გულწრფელად დააფრქვევს ცრემლს შენს გაციებულს გვამს. დაე, იმან მაინც დაამშვიდოს შენი დაკოდილი გული, რომ დღეს ყველა შენი მეგობრები შეიკრიბებიან შენს ცხედართან და გულში მაინც იტყვიან, გვაპატიეო—ეს იქნება შენი საუკეთესო ჯილდო და შენც ჩვეულებრივის ღიმილით აპატიებ ყველას, ვინც სიცოცხლეში გაწყენინა რამ.

მშვიდობით ჩემო თექვსმეტის წლის მეგობარო, მშვიდობით კეთილო ქართველო.

**განდეგილი.**

## მაშო დემურიას ხსოვნას

კიდევ სიკვდილი!.. კიდევ ულმობელმა განგებამ გამოგვტაცა ხელიდან ერთი საუკეთესო მოღვაწეთაგანი.

ჯერ კიდევ არ გამქრალა ის სევდა, ის წუხილი, რომელიც გამოიწვია ჩვენში ლადო ლორთქიფანიძის გარდაცვალებამ, რომ ამ გამოუნელებელ გრძნობას მეორე წაემატა, არა ნაკლებ ძლიერი თავის სიმწარით. აღარ გვყავს მაშო დემურია.. საუკუნო ძილმა შეიპყრო ხალხის მეგობარი.

მართლაც, რითი იყო ეს იშვიათი ადამიანი ძვირფასი ჩვენის პატარა ხალხისათვის, რომელიც ასე ღარიბია გულ-წრფელ ლ... მოღვაწეებით? მხოლოდ ... წმინდა სიყვარულით თავის ბედკრულ სამშობლოსადმი, ... თავის ხალხის დაჩაგრულ მშრომელ ნაწილისადმი. სწორედ ეს სიყვარული ჰქმნიდა მას მაღალ არსებად. მით უფრო გულდასათუთქია მისი სიკვდილის მოულოდნელი ამბავი... უცბად დაიშრიტა საუკეთესო წყარო დიდის ენერგიისა, მხნეობისა და კეთილ სურვილისა.

ყველა გაკვირვებული რჩებოდა, როცა ჰხედავდა განსვენებულს საქმის დროს. და განა უსაქმო იყო იგი როდისმე? ეს შრომა, ეს მხნეობა თან დაყოლილი ჰქონდა ბავშვობიდანვე. მე მახსოვს ის კარგად იმ დროიდან, როცა მე ექვსი წლის ვიყავი. ხშირად დაიარებოდა ჩვენს ოჯახში (გორში), სადაც მიღებული იყო, როგორც ღვიძლი შვილი. ჩემი დედამამისაგან გამიგონია, რომ მას ძალიან მწარე ობლობა გამოუვლია. დედა დაჰკარგა მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ 15 წლისა არ შესრულებულიყო. დარჩა თავის მამის, ივანე ივინაშვილის (ივინოვის) და ბებიის ანაბარად. ესენი ძველის აზრების ხალხი იყვნენ და, რასაკვირველია, მათ ვერ შეეთვისებოდა ახალგაზრდა ქალი, რომელსაც სწყუროდა სწავლა, ცოდნის შეძენა და სამოღვაწეოდ—სხვა სარბიელი, ამიტომ გასაკვირველი არ იყო, რომ ის ეძებდა მეგობრებს გარეშე ოჯახებში. ერთ მისდამი განწყობილ ოჯახთაგანი იყო ქ. გორში ელიზბარ ერისთავის ოჯახი, სადაც მაშო ძალიან უყვარდათ.

მაშო არ დაკმაყოფილდა იმ სწავლით, რომელიც გორში მიიღო და გამოემგზავრა ტფილისისაკენ, სადაც იგი შევიდა საბებიო ინსტიტუტში. სწავლა მალე სამაგალითოდ დაამთავრა და კიდეც შეუდგა სამსახურის ასრულებას, დაინიშნა ბებიად. ბევრგან ასრულებდა ამ თანამდებობას. იყო საჩხერეში, ოზურგეთში და სხვაგან. ყველგან, სადაც კი მსახურობდა განსვენებული, ყურადღებას იპყრობდა თავის ცოცხალ ხასიათით, და საზოგადო სარბიელზე მუშაობის სურვილით. ყველგან

## იდეალის საფლავთან

I

დიდ-ხანს გეძებდი... გნახე... მოხვედი!
ქნარი მოვმართე და ავაჟღერე;
გაზაფხულისა წინამორბედი
შენთვის ბუნება მე ავამღერე.
ცის ლურჯ კამარას, მზისგან დაკოცნილს,
მის ჩვილს, ფეროვანს მშვენიერს სარტყელს,
მთებისა მეფურ გვირგვინს დალოცვილს,
ზურმუხტის ზღვაში მცურავსა ტყეველს,
საღამოს ღრუბლებს, შავ ნაწნავ-კავებს,
გაბადრულ მთვარის მხიარულ კაშკაშს,
ტურფა ყვავილებს, მინდვრის ვარსკვლავებს,
ძვირფას თვლებისა სხვითა ნაზ თამაშს,
ყველაფერს რაც კი სურნელად ფშვინავს,
კეთილ-ხმოვანობს, ლამაზობს, ბრწყინავს,
მოვსტაცე ამბრი, ფერად-სხივები,
შევქმენ გვირგვინი ეთეროვანი,
ჩავაწან ჰანგი ნაზ-ცისკროვანი,
ჩავურთე ლხენის ცრემლთა მძივები
და თავს დავადგი ჩემს გულის უფალს,
ჩემ ფიქრთ, ზრახვათა კეთილს დედოფალს!..

II

შთანთქა უფსკრულმა ის დრო ნეტარი!..
შესწყდნენ შვებისა და ლხენის ხმანი...
და შენ საფლავთან ვდგევარ გულმკვდარი...
გარს მეხვევიან საფლავის ქვანი!..
„რისთვის და რათა"?—ცას ვეკითხები...
თვალები სიტყვებს თან მისტირიან!
აჰ, ვერ სწვდებიან ღვთის ტახტს კითხვები:
ვით ასროლილი შურდულით ქვები,
ისევ მიწაზედ მძიმედ სცვივიან!

III

არა ალხენს რა მწუხარე თვალებს:
მათ წინ სჩანს მხოლოდ საფლავის თხრილი!
ამაოება ლესავს თვის ბრჭყალებს,
ნათელ სიცოცხლეს მოადგა ჩრდილი!..
ვეღარ ვპოულობ ნუგეშსა ვარდში,
აღარ მათბობენ მზისა სხივები,
აღარ სცურავენ ცისა ლაჟვარდში
ჩემ გრძნობა-აზრთა მძლე არწივები!
ღამის წყვდიადში ვზრდი ჩემსა სევდას,
ვეტრფი ... იქ მარტოობას,
ღამის ბუნებას, ტანჯულთა დედას,
შევსჩივი სულის უთვისტომობას!..
შევწყვიტე ლაჩრულ ცრემლების ღვარი;
ჩემი საცრემლო გაშრა და გახმა..
ველურ სტიქიონთ მივეცი ქნარი
და შევუერთე ჩემი წყრომის ხმა
მღელვარე ზღვისა ზვირთების გრიალს,
ქარიშხალისა გოდებას საზარს,
ჰექა-ქუხილსა, მძვინვარე გრიგალს,
და ჯოჯოხეთის გულსაკლავ ხარხარს!..
ამ ხმათ გამაში მკიდროთ ჩართული
ჩემი ხმა ისმის უკვე მძლავრათა,
ისმის მრისხანე, ცად მიმართული,
იგივ შეკითხვა „რისთვის და რათა"?!
და ჩემთან ერთად ცრემლით მორწყული
ქვეყანაც პასუხს ითხოვს და ელის:
იმასაც სტანჯავს იგივე წყლული,
რომელს ღიმილი ცისა არ შველის...
და თუ სიჩუმეს ცა არ დაარღვევს,
ქვეყანა ესვრის მას მწარე გმობას,
დაიჭრის თავის სასიხლე-ძარღვებს
და თავში ახლის... თვის არსებობას!

**კ. მაყაშვილი.**

## ბავშვების სქესობრივ აღზრდის შესახებ

ბავშვების სქესობრივი აღზრდა ჩვენს ცხოვრებაში არსებითი საკითხია. ყველა დამეთანხმება, რომ ბავშვი უნდა ააცდინო იმ საზიზღარ გავლენას, რომელსაც უმეტეს შემთხვევაში განიცდიან ჩვენი შვილები. ყველა სხვა არა სასურველ გავლენას უნდა დაუმატოთ და თითქმის უპირველესი ადგილი მივცეთ პორნოგრაფიულ ლიტერატურას, რომელსაც ადვილად შეიძენს ყველა მსურველი, მიუხედავად ცოდნისა და წლოვანობის. პორნოგრაფიას მით უფრო გაშმაგებულნი ეწაფებიან უსუსურნი, რაც უფრო ნაკლები ცოდნა აქვთ მიღებული სქესობრივ საკითხებში და რაც უფრო ნაკლებად აქვთ განვითარებული კრიტიკული აზროვნება.

ჩვენი შვილები იძენენ მავნებელ ცნობებს, ხრწნიან თავიანთ გულის ზრახვას, ჩვენ, დედებს და აღმზრდელებს-კი, გვეშინიან და არც ვიცით, როგორ დავაკმაყოფილოთ მათი ცნობის მოყვარეობა, იმიტომ რომ ჩვენ თითონ თავიდანვე უარ-ვყავით მათი მეგობრობა, ჩვენის სიჩუმით ისეთი აზრი დაუბადეთ სქესობრივ დაახლოვებაზე, ვითომ იგი რაღაც საიდუმლო და სამარცხვინო საქციელი იყოს. ამნაირის აღზრდით ვანვითარებთ ჩვენს შვილებში ავადმყოფურ სურვილებს.

ამ ბოლო დროს, მართალია, ბევრი რამ იწერება ამ საკითხზე, ბევრია ისეთი პედაგოგი და მშობელიც, რომელთაც გადაწყვეტილი აქვთ მეგობრის ადგილი დაიჭირონ ბავშვთან, უპასუხონ ყველა საკითხზე და დააკმაყოფილონ სავსებით მისი ცნობის-მოყვარეობა, მაგრამ ამ გვარ პედაგოგის და მშობლის შორისაც მრავალია ისეთი, რომელიც პრინციპიალურად თანახმანი არიან ამ საკითხისა, ხოლო ცხოვრებაში ეშინიანთ მისი განხორციელება.

ხშირად დედები და აღმზრდელები უამბობენ ბავშვებს იმას, თუ როგორ მრავლდებიან მცენარენი და პირუტყვნი... მაგრამ ამას ვეღარ გადასცილდებიან ხოლმე, აქ წერტილისა სვამენ: დედა ჩქარა მოსცილდება ბავშვს, ეშინიან, ისეთი არაფერი ჰკითხოს ბავშვმა, რომ არ გააწითლოს, რომ **„ვერ უპასუხოს"**. და თუ დედამ ან აღმზრდელმა ვერ მოასწრო ამ შემთხვევაში ბავშვის მოცილება და უცებ მიიღო კითხვა: „მე საიდან ლა მოვედი", როგორ ჩნდება ადამიანიო", დედა მართლაც წითლდება და აკანკალებულის ხმით ამბობს: „ბებიამ ჭინჭრებში გიპოვნა", ან „წყალში დაგიჭირე ბანაობის დროსაო" ან სხვა რამ სისულელეს. ბავშვი ატყობს ცვლილებას და მეორედ ამ გვარის კითხვით დედასთან აღარ მიდის, იგი თავის ლოღიკით სჯის: თუ კი მცენარის ან პირუტყვის გაჩენა ასეთი გასაგები და ცხადია, ადამიანისა რაღად არის სამარცხვინო, ან ასე შემთხვევით როგორ მიპოვნესო.

აი, აქედან იწყება დრამა ბავშვის პატარა გულში. იგი ცხადად ჰხედავს, რომ დედა ან აღმზრდელი ატყუებს და სწყვეტს მასთან ბაასს ამ საინტერესო საკითხის შესახებ. ამის შემდეგ ბავშვი ეძებს პასუხს გარეთ, ჰკითხავს მოსამსახურეს ან უფროს ამხანაგებს, რომელნიც უკვე **„განვითარებულნი"** არიან და, რასაკვირველია, მიიღებს ახსნას სულ სხვანაირის ელფერით.

ასეთის „აღზრდის" მიზეზი არის ის, რომ თითონ ჩვენ, ეგრედ წოდებული „ინტელლიგენტი" დედები, არა ვართ კარგად აღზრდილნი, ზოგნი მშობლების განუვითარებლობის და ზოგნიც მათის მორცხვობის გამო. მართლაც და ვინ მოგვცა მომზადება შვილების აღსაზრდელად? რას გვასწავლიდნენ სასწავლებელში? ავიღოთ თუნდა ბოტანიკა. ჩვენ ვიცოდით, რომ ყვავილი შესდგება მამრობითის (тычинка) და დედრობითის (пестик) სქესის ნაწილებისაგან, რომელთა საშუალებითაც მცენარე მრავლდება. ვიცნობდით თვით პროცესს განაყოფიერებისას, მაგრამ ყველაფერი ეს ვიცოდით ზეპირად. ხოლო ცოცხალ ყვავილზე კი არ გვინახავს, და არც ის უთქვამს ვისმეს, რომ ადამიანიც ასე მრავლდება. არც ანატომიაში გაუმეტებიათ ამაზე მეტი ცოდნა: შემოიტანეს კლასში ძვლების ჩონჩხი და დიდი სურათი ადამიანის ტანისა, მაგრამ ეს ადამიანი არც კაცი იყო, არც ქალი—რაღაც უსქესო საგანი, როგორიც ცხოვრებაში არ არსებობს. არც ვიცოდით უმეტესობამ, თუ რა დანიშნულება ჰქონდა სქესობრივ ორგანოებს, და თუ ვინმემ იცოდა—სიცილით და ხარხარით მოგვიყვებოდა თავის ბილწ და ყალბ ცნობების და თანაც ეშინოდა, რომ გამიგონ, დამითხოვენო.

ვინ იცის, ზოგჯერ სადამდის მიდის ზოგიერთის უვიცობა! ყოფილა შემთხვევა, რომ ქალს გაუთავებია გიმნაზიის რვა კლასი, მომზადებულა გასათხოვრად და დარწმუნებული კი ყოფილა, რომ ბავშვი ჭიპიდან იბადება... რა იმედი უნდა გვქონდეს ამისთანა დედისა? კიდევ კარგი, თუ კითხვა მაინც უყვარს და კითხვით სცდილობს გაიგოს ის, რაც ვერ მისცა ვერც დედამ და ვერც გიმნაზიამ.

ამნაირ უვიცობას, რასაკვირველია, ადგილი არა აქვს მამაკაცთა შორის. მართალია, მშობლებს მათთვის არაფერი უთქვამთ, მაგრამ ისინი ყველაფერს სასწავლებელში იგებენ **„მცოდნე"** და გახრწნილ ამხანაგებისაგან და მალე ეფლობიან კიდეც იმ მორევში, რომელსაც არა სასურველი შედეგი მოსდევს. მამაკაცი უმეტეს შემთხვევაში ჯილდოვდება სხვა და სხვა სენით, შემდეგ, **„დასვენება, რომ დასჭირდება"**, ირთავს ცოლს და ამრავლებს ავადმყოფ ბავშვებს. მამა, რომელსაც არ ესმის თავისი წმინდა დანიშნულება და არა სცდილობს შვილების ჯანმრთელობისთვის, მათ აღზრდასაც ნაკლებ ყურადღებას აქცევს: მისცამს

ღ:იმსახურა სიყვარული და პატივისცემა.

ბევრი იყო მოხიბლული მაშოს სილამაზით და პიროვნებით. მაგრამ ამ ბევრში მან აირჩია ახალგაზრდა იურისტი ვასილ დემურია, რომელსაც მეუღლედ გაჰყვა. მასთან შეძინა ორი ვაჟი. სამწუხაროდ, მეუღლე მისი ვერ აღმოჩნდა სადი ავებულების პატრონი და მალე მიიცვალა.

ქმრის გარდაცვალების შემდეგ განსვენებული გადმოსახლდა ტფილისში, სადაც მიიღო ქალაქის ბებიის ადგილი. მხოლოდ აქ მონახა მან ნამდვილი სარბიელი თავის მუშაობისათვის. აქ გაშალა მან ფრთები და მიეცა საზოგადო მუშაობას.

პირველი ასპარეზი მისი იყო სახალხო წარმოდგენების გამართვა და საზოგადოდ ამ საქმის მოწყობა. რამდენჯერ მინახავს იგი თოვლ-ჭყაპში მოსიარულე, ავჭალის სახალხო აუდიტორიისკენ მიმავალი. სამსახურის შემდეგ რაც დრო ჰქონდა, სულ საზოგადო საქმეს ანდომებდა.

ვის შეუძლიან აღნუსხოს რამდენი ფონდი დაარსა მან და რამდენს მოუხერხა სახსარი საშუალო და უმაღლეს სწავლის დასამთავრებლად. მან დაარსა, სხვათა შორის, ეგრედ წოდებული ერეკლეს ფონდი და მით ახალგაზრდა ნიჭიერ ყმაწვილს მისცა საშუალება დაემთავრებინა უმაღლესი სწავლა.

როგორც კი კონსტანტინე ზუბალაშვილის სახელზე აშენდა სახალხო სახლი, მაშო შეუდგა სახალხო საქმეების უფრო რიგიანად და შესაფერად მოწყობას და მუშებთან ერთად მუშაობდა დაუცხრომლად. ამ უკანასკნელ ხანშიაც ამ სტრაქონების დამწერისათვის, ვინ იცის, რამდენჯერ შეუჩივლია, რომ მას ვერ შეეძლო მოენახა ისეთი საშუალება იმ სამწუხარო გამწვავების ჩასაქრობად, რომელიც დაიბადა უკანასკნელ ხანს სახალხო წარმოდგენების გამმართველ წრეებში.

ის სულით და გულით ნატრობდა, რომ როგორმე შერიგება მომხდარიყო. თუ ეს ბოლო არ მოჰყვა იმის ცდასა და ზრუნვას, ბრალი მაინც მას არ დაედება. დარწმუნებული იყვნენ მუშები და სახალხო წარმოდგენების ხელმძღვანელნი ორივე მხრისა, რომ გარდაცვალებული სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ერთგული იყო ამ დიდ საქმისა, რომელსაც იგი თავიდანვე თავგამოდებით ემსახურებოდა.

მოვიგონოთ აგრეთვე, რამდენი წვალება გამოიარა მან, რომ ნაძალადევში გადაერჩინა წიგნთ-საცავი ხელჯოხიან ბოროტ პირების განზრახვებისაგან? გავიხსენოთ, რა ღვაწლი მიუძღვის მას ამ საქმის დაწყებასა და გაძღოლაში?

არ დაივიწყა განსვენებულმა ჩვენი მოზარდი თაობაც და ამ რამდენიმე წლის წინად დაუარსა მას ნახატებიანი საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“ ეს საქმე გაგიჟებით უყვარდა და აკი თავისი დღენი თითქმის მას შეალია.

ვის შეუძლიან ჩამოსთვალოს დაუვიწყარი ძვირფასი ადამიანის, ჩვენი მაშოს, გაკეთებული ყველა კეთილი და სასარგებლო საქმე?

დიდი დანაკლისია ეს დანაკლისი ჩვენი ღარიბი ხალხისათვის. დიდ ხანს დარჩება მისი ადგილი თავისუფალი და კიდევ კარგი ხანს მოგვენატრება იგი. ჩვენ უნდა ვიგლოვოთ, რომ ასე უდროვოდ გვეხოცება ასეთი საჭირო ხალხი თორემ მას ეწვია იშვიათი იღბალი-ნატრობდა უცაბედ სიკვდილს და აი ნატვრაც შეუსრულდა. უყვარდა მეგობრები და აი სულიც აღმოხდა თავის საუკეთესო მეგობრის ოჯახში. გატაცებული იყო თავის ხალხის სიყვარულით და თვით ხალხი უწევს მას ჭირისუფლობას.

დაუვიწყარმა მოღვაწემ თვით ხალხის გულში სამუდამო ძეგლი დაიდგა.

განა ასეთი მკვდარი მკვდრად ჩაითვლება?!...

**გრიგოლ დიასამიძე.**

# დეპეშა

მარიამ დემურიას გარდაცვალების გამო მოვიდა შემდეგი დეპეშები:

**გორი.** გორის ქართველი საზოგადოება ძალიან დაალონა წყნარ და მშვიდობიან მუშაკის მარიამ დემურიას გარდაცვალებამ. საზოგადოებამ დაადგინა, განსვენებულის ხსოვნის პატივსაცემად, გვირგვინის ნაცვლად, გამოიწეროს „ნაკადული“ ათ უღარიბეს სოფლის სკოლისთვის.

**ქუთაისი.** „ფონის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას აცხადებს უანგრო მუშაკის მარიამ დემურიას გარდაცვალების გამო.

**ქუთაისი.** გულით ვწუხვართ სახალხო განათლების ნიადაგზე დაუღალავ მუშაკის დაგარგვას.

**ქუთაისის ქალთა გიმნაზიის მასწავლებელ-მოსწავლენი.**

# ჩემი ზამბახი

ვპოვე კუნძული
ბედით აღთქმული,
ირგვლივ ზღვის ტალღით შემოზღუდული.
ლურჯი ზამბახი იქა ჰყვაოდა,
ცა ნამს აფრქვევდა, დილით ჰხარობდა,
თურმე ჩემს ნახვას გულით ჰნატრობდა!
ოჰ მეგობარნო, ნუ მოსწყვეტავთ ჩემს გაშლილს ზამბახს!
ცისფერს ფურცლებში ვიფურჩქნები, ვშორდები საფლავს!
ვერავინ გამყრის სულის მეგობარს!
ის ერთი მიყვარს!.. ის ერთი მიყვარს!..

ედემის სახე,
დასქკნა როს ვნახე.
ბევრი ვიტირე და ვივაგლახე!
ნაზი, უმწიკვლო დავწვი ალერსით,
გული მოვუკალ მხურვალე ლექსით.
ვაი, რაღა ვქმნა, რაღას ვუშველი;
თვითვე შევიქმენ ერთგულის მკვლელი.
ნუ მეცილებით სუნ-მიღებულს დაკამკნარს ზამბახს,
ამოვიკითხავ შავს ფურცლებში ჩემს სევდა-ვარამს.
ვერავინ გამყრის სულის მეგობარს!
შორს, სხვის ალერსი! კვლავ ერთი მიყვარს!..

**ა. შანშიაშვილი.**

**ბათუმი.** გულწრფელად ვგლოვობთ უდროდ დაკარგვას წყნარ და მხნე მარიამ დემურიასის. საუკუნოდ იყოს ხსენება მისი!

**გ. ჟურული, ი. მესხი, მ. დეკანოზიშვილი, ს. მდივანი.**

**ერევანი.** ვწუხვარ „ნაკადულის“ ხელმძღვანელის, დაუღალავ მუშაკის მარიამ დემურიას დაკარგვის გამო.

**დუტუ-მეგრელი.**

**ბაქო.** გულით ვწუხვარ მარიამ დემურიას დაკარგვის გამო.

**ელიაშვილი.**

**დღევანდელ ნომერთან ერთად რიგდება სააქციონერო საზოგადოების „კროვლიას“ განცხადება.**

# ახალი ამბავი

## ტფილისი

**მარიამ დემურიას დაკრძალვა.** დღეს დაკრძალავენ უეცრად გარდაცვლილ მარიამ დემურიას ცხედარს. წირვა გადახდილი იქნება ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. წირვის შემდეგ ცხედარს დასაკრძალავად წაასვენებენ კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

**გვირგვინი.** ტფ. ქალაქის გამგეობამ 22 იანვრის სხდომაზე მოისმინა მ. ი. დემურიას გარდაცვალების შესახებ და დაადგინა, შეამკოს განსვენებულის ცხედარი გვირგვინით, როგორც ქალაქის ისე ქალაქის სახალხო სახლის სახელით.

**რახიმ-ხანი.** დეპეშათა სააგენტო იუწყება: კავკასიის ნამესტნიკმა განჯის გუბერნატორისგან დეპეშა მიიღო, რახიმ-ხანი რუსეთის საზღვარს გადმოვიდაო. ამას გარდა, ნამესტნიკმა თვით რახიმ-ხანისაგან მიიღო დეპეშა, ნება მიბოძეთ რუსეთში დავრჩე ჩემის ოჯახობით და 200 ჩემის მოაზრე კაცითაო. ნამესტნიკმა ბრძანება გასცა, რახიმ-ხანს და მის ოჯახს ნება მიეცეთ, ეკატერინოდარში წავიდნენ, საზღვარზე კი მათი დარჩენა ყოვლად შეუძლებელიაო. ამასთან ბრძანებაა გაცემული, მიღებულ იქმნას ზომები, რომ რახიმ ხანის სხვა თანამოაზრენი საზღვარს არ გადმოვიდნენ.

**ექსარხოსის ჩამოსვლა.** ხვალ, 25 იანვარს, ტფილისში მოელიან საქართველოს ახალ ექსარხოსს ინოკენტის.

**„გზის მაჩვენებელი“.** როგორც მკითხველებმა იციან, 1911 წელს ტფილისში გაიმართება სრულიად რუსეთის ექიმთა და ბუნების მეტყველთა კრება. რადგან ტფილისში კრების ისეთი წევრები ჩამოვლენ, რომელთაც არავითარი წარმოდგენა არ ექნებათ ჩვენს ქვეყანაზე და კერძოდ ტფილისზე, ქალაქის გამგეობამ განიზრახა გამოსცეს რუსულ ენაზე „გზის მაჩვენებელი“, სადაც აღნიშნული იქნება შესაშნიშნავი ადგილები, დაწესებულებანი, მათი არსებობის ისტორია და სხვა. გზის მაჩვენებლის შემდგენელ კომისიის წევრებად გამგეობამ ამოირჩი, ნ. ე. და პ. ა. არგუთინსკი-დოლგორუკოვები, გამგეობის მდივანი სტ. ა. დანდუროვი, ქალაქის მდივანი მ. ა. ჯაბარი და საქმის მწარმოებელი ნ. ა. აბელოვი. საჭიროა ტფილისზე ისტორიულ ცნობებიც იქმნას შეტანილი წიგნში, ხოლო კომისიაში არც ერთი ისტორიკოსი არ არის.

**საინტერესო საღამო.** დღეს, 24 იანვარს ბირჟის სადგომში (ერევნის მოედნის მახლობლად) დანიშნულია საინტერესო საღამო მცხეთის ქალთა პროგიმნაზიის სასარგებლოდ. გ. გვაზავა წაიკითხავს ლექციას იბსენის ნორაზე. საკონცერტო სალიტერატურო განყოფილებაში ქ-ნი მიტკევიჩი იმღერებს ქართულ რომანსებს, ქ-ნი ნონნა ანტონოვისა წაიკითხავს ლექსებს, გედევანოვი და გოცირიძე შეასრულებენ კუპლეტებს ვაი-ვაის ხმაზე, ხოლო გრიშაშვილი—სცენებს; მონაწილეობას იღებს აგრეთვე ალექსანდრე კავსაძის ხორო. შეასრულებს ქართულ და ევროპიულ სიმღერებს. დასასრულ გაიმართება ევროპიული და ქართული ცეკვა.

**ქალაქის საბჭო.** ორშაბათს, 25 იანვარს, ტფ. ქალაქის საბჭოს განსახილველად წარედგინება შემდეგი საქმეები: მოხსენება ქალაქის ქუჩების განათების შესახებ; მოხსენება 1909 წლის დამატებით ხარჯთ აღრიცხვის შესახებ; მოხსენება განსვენებულ ყორღანოვისა და ალიბეგოვის მემკვიდრეების შესახებ; მოხსენება გამგეობისა მეოთხე საობლიგაციო სესხის განაღდების შესახებ და სხვა.

**მღვდელი და სამწყსო.** როგორც „ნოვაია რეჩი“ გამოგვცემს, სოფელ დიმის (გორის მაზრა) სომხებს 6 იანვარს ზარებისთვის ენები ჩამოუხსნიათ და თავიანთი მღვდელი ეკლესიაში აღარ შეუშვიათ. მღვდელს მაზრის უფროსისთვის შეუტყობინებია, გლეხებმა არეულობა მოახდინესო. 13 იანვარს დიმში ჩასულა გორის მაზრის უფროსი თავ. ვახვახიშვილი და საქმე გამოუძიებია. როგორც გამორკვეულა, არავითარ არეულობას ადგილი არა ჰქონია. მრევლს უთქვამს, მღვდელი გარყვნილ ცხოვრებას მისდევდა და იმიტომ მოვიქეცით ასეო.

**მეცხვარეთა საზოგადოება.** უკვე ვწერდით, რომ ტფილისში არსდება ცხვრის მომშენებელთა საზოგადოება. აზრად საზოგადოებას უმთავრესად ექნება მატყლის გასაღება. წესდების პროექტი კარგახანია წარედგინა სამინისტროს დასამტკიცებლად. ამ რამდენიმე ხნის წინად სამინისტრიდან შესწორებული პროექტი უკანვე დაუბრუნდა ინიციატორებს მოწერილობით: თუ თანახმა ხართ ჩვენ მიერ წესდებაში შეტანილ ცვლილებებისა, შეგვატყობინეთ და წესდებას დაგიმტკიცებთო. წესდებაში სულ უმნიშვნელო ცვლილებანია შეტანილი. წესდების დამტკიცების მოლოდინში ინიციატორები უკვე შეუდგნენ მზადებას საქმის განსახორციელებლად. გაზაფხულისათვის მოწვეული იქნება დამფუძნებელი კრება, ამოირჩევენ გამგეობას და შეუდგებიან მოქმედებას.

**დრამატიულ საზოგადოების კრება.** დღეს, 24 იანვარს, შუადღის 12 საათისათვის ტფ. სამეურნეო ბანკის სადგომში დანიშნულია საგანგებო კრება ტფ. ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა. კრებამ უნდა აირჩიოს სამი გამგეობის წევრი და განიხილოს, რამდენიმე მიმდინარე საქმე.

**დაწესებულებათა დათვალიერება.** ტფ. ქალაქის გამგეობის უკანასკნელ სხდომაზე ლაპარაკი ჩამოვარდა იმაზე, რომ გამგეობა სისტემატიურად ათვალიერებდეს ქალაქის დაწესებულებებს, მაგ., სამკურნალოებს, საავადმყოფოებს, სასწავლებლებს, სადეზინფექციო კამერას, სახელოსნოებს და სხვას. ამ დაწესებულებათა დათვალიერება-რევიზიას დღეს შემთხვევითი ხასიათი აქვს. გამგეობამ დაადგინა, 27 იანვრიდან წესად დაიდოს სისტემატიური დათვალიერება დაწესებულებებისა. გამგეობა სპეციალისტ მოხელეთა თანხლებით ყოველ კვირაში ოთხშაბათობით, ნაშუადღევის 2 საათიდან შეუდგება დაწესებულებათა დათვალიერებას.

**წყლის ძებნა.** ინჟინერმა აბელოვმა გუშინ მოხსენება შეიტანა ტფ. ქალაქის გამგეობაში. მოხსენება შეეხება საყასბოსათვის წყლის გამოყვანას. ბ-ნი აბელოვი ამბობს, რომ მტკვრიდან ახალ საყასბოში წყლის აყვანა ძვირად დაჯდება და ამას გარდა უვარგისიც იქნება. ვერც ავჭალის წყლის მილიდან შეიძლება წყლის ხმარება, რადგან საყასბოს დღე-ღამეში დასჭირდება 50,000 ვედრა და ამოდენა წყალსკი მილი ვერ მიაწვდისო. აბელოვი ურჩევს გამგეობას, გაგზავნოს ინჟინერები პატარა და დიდ ლილოს გორებში წყაროს წყლის აღმოსაჩენად. გამგეობამ ეს საქმე მიანდო ინჟინერებს აბელოვსა და ქურდიანს. 1890 წელსაც უძებნია ქალაქს იქ წყალი და 2000 მანეთიც დაუხარჯავს, მაგრამ მიწად-მოქმედების სამინისტროს რწმუნებულის წინააღმდეგობის შემდეგ. წყლის ძებნისათვის თავი დაუნებებია.

**სესხი.** 22 იანვარს მოხდა შეერთებული სხდომა ტფ. ქალაქის გამგეობისა და საფინანსო კომისიისა. სხდომამ თათბირი იქონია ქალაქის მე-4 საობლიგაციო სესხის განაღდების შესახებ. სხდომა იმ აზრს დადგა, რომ სესხი აქვე განაღდეს. ამავე საკითხის შესახებ გუშინ, 23 იანვარს, საღამოს 8 საათზე კერძო თათბირი ჰქონდათ ტფ. საბჭოს ხმოსნებს.

**ფულის გადადება.** ამას წინად კავ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ შუამდგომლობა აღძრა მიწად-მოქმედების დეპარტამენტის წინაშე, რომ სამეურნეო საზოგადოების საბჭოს დახმარებოდა ფულით ქაშეთის გამოსაცემად. დეპარტამენტს ეს შუამდგომლობა შეუწყნარებია და დაუდგენია 1000 მანეთით შეეწიოს საზოგადოებას. დეპარტამენტმა გადასდო აგრეთვე 750 მან. სამეურნეო საზოგადოების საოპერაციო ბიუროსთვის. ბიურომ უნდა შეიძინოს თესლეულობა და გაავრცელოს ხალხში.

**მიწათ მოქმედების დეპარტამენტმა,** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს შუამდგომლობის თანახმად, 1500 მანეთი გადასდო სახელმწიფო ხაზინიდან საბაღოსნო სასწავლებელში 1909 წელს აღრიცხვის გარეშე მომხდარ ხარჯის დასაფარავად.

**ტფილისში შემდეგი ამბები მოხდა:** 22 იანვარს დააპატიმრეს სედრაქ ბეგიჯანოვი, რომელიც აქამდე იმალებოდა. ბეგიჯანოვს ბრალდება მკვლელობა. ამავე დღეს დააპატიმრეს კონსტანტინე სავლუკი, რომელიც საგ.-გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ ნებადაურთველად დაბრუნებულა. 23 იანვარს საგურამოს ქუჩაზე ცეცხლი გაუჩნდა ერემია გულისაშვილის სახლს. ცეცხლი სახლს მოსდებია ამ სახლში მცხოვრებ შტაბს-კაპიტანის პოპოვის აბანოდან. ცეცხლის გაჩენა გვიან გაიგეს, უკვე ალი ჰქონდა შემოდებული, როცა ცეცხლის მქრობელი რაზმი მოვიდა. კარგა ხანს ბრძოლის შემდეგ ცეცხლი ჩააქრეს. ცეცხლის ქრობის დროს მცირედ დაშავდა ბოქაულის თანაშემწე ზუბრიცკი, რომელსაც საექიმო დახმარება აღმოუჩინეს. სახლი დაზღვეულია 10 ათას მანეთად. ჩხრეკის დროს პოლიციელებმა დააპატიმ. 1 ნაწილში 12, მე-2 ნაწილში 42 და მე-8 ნაწილში 23 უპასპორტო კაცი.

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული წარმოდგენა.** დღეს ქართულ თეატრში დანიშნულია პირველი გასტროლი ნინო ჩხეიძისა. წარმოდგენილი იქნება ალ. დიუმას-შვილის პიესა „მარგარიტა გოტიე“. ოთხი წელიწადია, რაც ნ. ჩხეიძეს ტფილისის სცენაზე არ უთამაშნია.

—

**ქართული თეატრი.** 23 იანვარს ქართულად წარმოადგინეს „სად მიხვალ“? სენკევიჩის რომანიდან გადმოკეთებული პიესა. პიესა ორჯერ-სამჯერ უკვე უნახავს ჩვენ საზოგადოებას ქართულად და ამიტომ მის შინაარსს აქ აღარ გავაცნობთ. შევეხებით მხოლოდ მსახიობთა თამაშს.

ყველას ეინტერესებოდა მესხიშვილის ნახვა პეტრონიუსის ფრიად სიმპატიურ როლში. უბედურობა ის არის, რომ ჩვენი თეატრის ადმინისტრაციამ ხუთი დღის წინად არას დროს არ იცის თუ რას წარმოადგენს. აფიშებს ბეჭდავენ და დარწმუნებულნი კი არ არიან ნამდვილად, ითამაშებენ თუ არა ამ პიესას, რამდენჯერ აღუნიშნავთ ასეთი თვალსაჩინო ნაკლი პრესაში, მაგრამ ჩვენი თეატრის მესვეურნი მაინც ამგზას მისდევენ...

„სად მიხვალის“ მზადებაც 21-ში დაიწყეს და რა გასაოცარია, რომ ახალ მოთამაშეთ ამ პიესაში ვერ მოასწრეს როლის შესწავლა.

მესხიშვილმაც კარგად ვერ იცოდა როლი; სხვაფრივ კი მართლა კარგი იყო: დიადი ამაყური დამთავრებული პლასტიკა; სულიერ მდგომარეობის მშვენივრად გადმომცემი მიმიკა; ყოველ ნაბიჯზე პირდაპირობა და მედიდურობა, რაშიაც მჟღავნდებოდა პეტრონიუსის უმაღლესობამდის განვითარებული არისტოკრატიზმი.

მის დამამშვენებელი ევნიკას როლს ასრულებდა თამარ გოგოლაშვილისა. იგი ბევრით უკეთესი იყო მათზე, ვისაც შეუსრულებია ქართულად ეს როლი (ჩხეიძის ქალი არ გვინახავს და ამიტომ მას ვერ შევადარებთ). საერთოდ საამური შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებლებზე, მხოლოდ მეორე მოქმედებაში, როცა ეხვევა პეტრონიუსის მარმარილოს ბიუსტს, ვერ გამოიჩინა ძლიერი, თავდაუჭერელი გრძნობა. იგი აღელვებულის ხმით უნდა ჩასჩურჩულებდეს გულიდან ამონახეთქ ძლიერ გრძნობას, ათრთოლებულის ტუჩებით ჰკოცნიდეს იმის ცივ სახეს; მოკანკალე, ნაზის ხელებით ისე ძლიერად და გრძნობით უნდა ეხვეოდეს მას, თითქოს ხორც-შესხმულ პეტრონიუსს უნაწილებს თავის თავდაუჭერელ სიყვარულის გრძნობებსაო. სწორედ ასე თამაშობდა ამ გაზაფხულს რუსულ დასში მანსვეტოვა.

---

გიმნაზიაში, ასწავლის მუსიკას, ფრანგულს და ჰგონია, რომ თავისი მოვალეობა შეასრულა. იგი არ აქცევს ყურადღებას ბავშვის სულიერ მოთხოვნილებას, დედასაც, როგორც ვთქვით, არა აქვს საკმაო მომზადება, და ამ რიგად ბავშვი მიდის ძველ, დედმამის კვალზე.

თვითონ ბუნება აძლევს ბავშვს მასალას სხვა და სხვა საკითხისას: ორი პეპელა ზის ერთად, ან ერთი ბუზი მისდევს მეორეს, ან კიდევ ჰხედავს პირუტყვების შეერთებას— ბავშვს უკვირს ეს ყველაფერი. ნება-უნებურად ჰკითხავს დედას, დედა-კი წითლდება. იმის მაგიერ, რომ დედამ გულგრილად და წყნარად აუხსნას ბავშვს მიზანი და მნიშვნელობა ამ შეერთებისა და სავსებით დააკმაყოფილოს ბავშვის ცნობისმოყვარეობა, იგი სიტყვას ბანზე აგდებს ან გარბის და ამით ბავშვს უორკეცებს ცნობისმოყვარეობას.

ხშირად 10-12 წლის ბავშვს ენატრება მეორე სქესის ტანის ნახვა. მას არ უნახავს ტიტველა ტანი და მხოლოდ ოცნებობს მაზე. დედამ უნდა აუხსნას ბავშვს, რომ ტანი ყველას ერთნაირი აქვს და თუ არის რაიმე განსხვავება, იმიტომ რომ მათი დანიშნულებაც განსხვავდება: ქალის წმინდა დანიშნულებაა—შვას და ჰკვებოს ბავშვი, კაცის კი—შეჰქმნას თავისი მსგავსი. ეს რომ ასე არ იყოს, კაცობრიობაც მოისპობოდა, და რაც უფრო ჯანმრთელად შეჰხვდებიან ერთმანეთს ქალი და კაცი, მით უფრო წმიდათ შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას. ბავშვი ხშირად უნდა ჰხედავდეს დედმამის ტანს, ამით იგი შეეჩვევა გულგრილად უყუროს მეორე სქესის სიტიტვლეს.

ბავშვები ხშირად კითხულობენ— სად არის ის ადგილი, საიდანაც იბადება ადამიანიო. ნურც ამ შემთხვევაში შეჰკრთება დედა. თუ ვაჟია— აუხსნას, რომ ქალის სქესობრივი ორგანო გაირჩევა კაცის ორგანოსაგან და ამა და ამ ადგილიდან იბადება ბავშვი, თუ კიდევ ასეთი კითხვა დაებადა ქალს—პირდაპირ ბავშვის ტანზე უნდა აჩვენოს დედამ. სახლში ან კატას ეყოლება კნუტები, ან ძაღლს—ლეკვები, ან ძროხა, მოიგებს. თუ კი გაიგებენ დაწყების მომენტს, უნდა სარგებლონ ამ შემთხვევით, წაიყვანონ ბავშვი და მაგალითით აუხსნან ყველაფერი: როგორ იკვებება ნაყოფი, რა არის ჭიპი და სხვა საკვირველი არ არის, თუ ამის შემდეგ ბავშვს მოუნდება ნახოს, როგორ იბადება ადამიანი. ამაზე უნდა უთხრას დედამ, როჯერ ერთ მშობიარეს ოთახში არამვის შეუშვებენ, მეორე კიდეც რომ შეუშვან—მისი მწუხარება ბავშვს შეაწუხებს.

რაღა თქმა უნდა, სასურველი არ არის, რომ ბავშვს სულ სქესობრივ საკითხზე ელაპარაკო. ამ საკითხს იშვიათად უნდა დაუბრუნდეს დედა: თითონ ბავშვმა უკეთესად იცის, როდისაა საჭირო ამაზედ ლაპარაკი, და დედის მოვალეობაა, აძლიოს სწორე და შეგნებული პასუხები. თუ ბავშვს დროით ჰიეცა პასუხი ყველა კითხვაზე, მაშინ დაეკარგება სურვილი, ნაკლებს იფიქრებს ამაზე და ამ მოვლენას შეჰხედავს ისე, როგორც ბუნებრივს და წმინდას.

უმთავრესი მიზანი ამ მეთოდისა უნდა იყოს ის, რომ ბავშვმა არამცა და არამც არ იგრძნოს, რომ ეს საკითხი სათაკილო და საიდუმლო რამ არის. უნდა ჩაენერგოს, რომ ესეც ბუნებრივი მოვლენაა. დედა უნდა სცდილობდეს, რომ პირველ ხანებში მაინც, სანამ ბავშვი კარგად გაიცნობდეს ამ საკითხს, ამისთანა ახსნას არ დაესწრო მოსამსახურე, ბებია ან საზოგადოდ უვიცი ადამიანი, იმიტომ რომ ისინი ერთ ალიაქოთს ასტეხენ და ყმაწვილს შეიყვანენ ეჭვში, რომ ეს რაღაც აკრძალულია.

საზოგადოდ, ნუ შეუშინდება აღმზრდელი ბავშვის კითხვებს. დაიჭიროს მასთან მეგობრის ადგილი არა მარტო სათამაშოების ყიდვით და საჩუქრებით, არამედ იმის სულიერ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებითაც.

ბავშვის ხასიათი და მომავალი სავსებით დამოკიდებულია დედაზე-აღმზრდელზე, და ყველა უნდა სცდილობდეს კარგად აღზარდოს ბავშვი ამ საკითხში და შეაჩვიოს შვილი იმ აზრს, რომ სქესობრივი ურთიერთობა მხეცურის სიტკბოების და სიამოვნების დაკმაყოფილების სურვილი კი არ არის, არამედ წმიდა მოვალეობა კაცობრიობის გამრავლებისთვის და რომ ამ მოვალეობის სინიდისიერად ასრულებისთვის ყოველი ადამიანი უნდა უფრთხილდებოდეს და ჯანმრთელად ინახავდეს თავს.

**კურხისტი-დედა.**

ჩვეულებრივად მშვენიერი იყო კ. მესხი. მას ყოველთვის რაღაც თავისებურობა შეაქვს ხოლმე ნერონის განსახიერებაში. სასტიკი, მაგრამ მშიშარა; პოეტობის მონატრული, მაგრამ უნიჭო; სახელისა და დიდების მოყვარული, მაგრამ სულ-მოკლე, აი ნერონის თვალის მჭრელი თვისებანი, და ყველა ეს საუცხოვოდ გადმოგვცა კ. მესხმა.

ლიდიაც — მდივანი კარგი იყო. მარკსაც—ზარდალიშვილსარაუშავდარა, მხოლოდ სულისკვეთებას როგორღაც შრალად გადმოგვცემდამაყურებელს.

მოქმედებათა ცენტრალურ სცენებზე შემდეგი შეგვიძლიან ვსთქვათ.

მეორე მოქმედებაში, როცა პეტრონიუსმა გამოუცხადა სიყვარული ევნიკას და თავისუფლად ეხვევიან ერთმანეთს, აქ ვერ შეჰქმნეს ატმოსფერა სიყვარულით თავდავიწყებულთა როცა ერთი-ერთმანეთის ხვევნაში, კოცნაში, დამთვრალთ, დამტკბართ, გონება ერევათ და ორთავეს თითქოს ერთ ხორცად, ერთ სულად აქცევს ძლიერი გრძნობა სიყვარულის.

მესამეში კარგად ჩაიარა გალობამ და ქრისტიანთა ლოცვამ, სხვათა შორის, კარგი იყო მოძღვრის როლში ივანიძე.

მეოთხეში ცოცხალი სცენა უფერულად ჩაატარეს, როცა ხალხი ღელავს, აღშფოთებულია რომის საშინელს სურათით და მოითხოვს დამნაშავეთა დასჯას, როცა პეტრონიუსი თავის ამაყურის, ორ-აზროვანის სიტყვით ხალხსაც ამშვიდებს და კეისარსაც იხსნის განსაცდლისაგან. ხალხი სცენაზე სრულებით არ გამოჩენილა და მხოლოდ კულისებში ისმოდა ხმაურობა.

მეხუთეში ცოცხლად ჩაიარა იმ სცენამ, როცა გამარჯვებულ ურსს შემოჰყავს გონება-დაკარგული ლიდია და ხალხიც აღელვებული, აღტაცებული ამ სანახაობით, მოითხოვს კეისრისაგან ლიდიას პატიებას.

მეექვსე სცენამ თავიდან ბოლომდის კარგად ჩაიარა. მხოლოდ ზოგჯერ სულ უბრალო რამ ავიწყდებოდათ: უკეთესი იქნებოდა, მაგალითად, მესხიშვილს მკლავის სახსრებში ცოტა მეტი წაესვა წითელი ფერი სისხლის ნიშნად, რომ შთაბეჭდილება უფრო ცოცხალი ყოფილიყო.

ხალხი ბევრი დაესწრო, უფრო კი მოსწავლეები და დემოკრატიული ნაწილი. **ლელი.**

—

**ქუთაისი.** 21 იანვარს ახალგაზდა მსახიობთა საბენეფისოდ დასმა პირველად წარმოადგინა მაქსიმ გორკის პიესა „ნაძირალნი“. დღევანდელ ულმობელ და უსწორ-მასწორო ცხოვრების ნიჭიერ მხატვარს, სწორედ ისეთს, როგორიც მაქსიმ გორკია, თუ შეეძლო ასე ღრმად ჩაეხედნა ცხოვრების ძირში, მოეძებნა მის ბნელ კუნჭულებში გაფანტული და მიმალული „ნაძირალნი“, ოდესღაც ადამიანებად წოდებულნი, მაგრამ ცხოვრებისაგან გასრესილ-გათახსირებულნი, და შეეკრა მათგან ის ერთი მთლიანი კონა, რასაც წარმოადგენს ეს პიესა. დიაღ, კონა, მაგრამ არა მაისის ია-ვარდით შემკული, არამედ გულსაკლავი კონა, ცოცხალ-მკვდარ ადამიანთა ჩონჩხებისა.

ჩვენ მსახიობთათვის ეს პიესა საკმაოდ ძნელია. მას ჩვეულებრივზე მეტი დაკვირვება ესაჭიროება. იგი სულით და გულით რუსული ნაწარმოებია, რუსულ ცხოვრების გამომხატველი. ამიტომ ვეჭვობდით, რომ ჩვენი ახალგაზდა მსახიობნი, რომელთა უმრავლესობა ქუთაისს არც-კი გასცილებია, შესძლებდნენ პიესის სულ-ხორცის შეთვისებას. ჩვენდა სასიამოვნოდ აღვნიშნავთ, რომ ჩვენი ეჭვი უსაფუძვლო გამოდგა. წარმოდგენამ რიგიანის ანსამბლით ჩაიარა.

ყველანი კარგები იყვნენ. აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთებს. პირველობა ეკუთვნის ა. იმედაშვილს (მსახიობის როლში), მისი შეგნებული და დაკვირვებული თამაში ძღუმარებისა თუ მოქმედების დროს მართლაც საამური იყო. როლიც მრავალფეროვანია, სულიერ ტანჯვა-ბოღმით აღსავსე, რომელიც მსხვერპლს თავის ჩამოხრჩობამდე მიიყვანს. შეუდარებელი პოლიციელი მედვედიევი იყო ბ-ნი გუნია. ყველა ღირსებასთან გრიმიც ჩინებული ჰქონდა. თათრის როლში ბ-ნ არაბიძეს კილო და მოქცევა ემარჯვებოდა.

მესამე მოქმედების ბოლო, მკვლელობა, ჩხუბი და აურზაური ცოცხლად და სინამდვილით ჩაატარეს.

საზოგადოება ბლომად დაესწრო, თუმცა მეტს ყურადღებას მოველოდით როგორც პიესის მიმართ, ისე იმ მუყაით და ერთგულ შრომის პატივსაცემლად, რომელსაც ახალგაზდა მსახიობნი ეწევიან წრეულს სცენაზე.

მობენეფისეთ (ათამდე მსახიობს და მათ შორის, სუფლიორსა და სცენარიუსსაც) საზოგადოება სიამოვნებით მიეგება და საჩუქარიც საკმაოდ მიუძღვნა ყველას, უმთავრესად წიგნები ლამაზ ყდებით დაკაზმული.

სასურველია ეს პიესა სახალხოდ (ფასდაკლებით) იქმნას განმეორებული. 28 იანვარს ა. იმედაშვილი თავის საბენეფისოდ სდგამს შექსპირის ტრაგედიას „ჰამლეტს“. **ჯაფარ-ფაშა.**

# ერთობა

არტ. შოპენჰაუერისა.

თვითეული პიროვნება არსებაა, ყველა დანარჩენთაგან სრულებით განცალკევებული. ნამდვილი ჩემი ცხოვრება—მხოლოდ ჩემშია, ყველა დანარჩენი—არ არის „მე“, უცხოა ჩემთვის,—აი ცნება, რომლის სინამდვილეს ამტკიცებს ხორცი და ძვალი, რომელიც საფუძვლად უდევს ყოველნაირ ეგოიზმს და რომლის ხორცშესხმული გამოცხადება თვითეული უსიყვარულო, უსამართლო ან ბოროტი საქციელია.

„ჩემი ჭეშმარიტი შინაგანი არსება—ყველა ცოცხალ არსთა არსებაა, რომელიც გამოთქმულია სანსკრიტულ სიტყვით „ტატ-ტვამ-აზი“, ესე იგი „ყველა ეს შენა ხარ“,—გამოცხადდება თანაგრძნობის სახით; იმაზეა დამყარებული ნამდვილი, უანგარო სათნოება; იმისი ხორც-შესხმული გამოცხადება—თვითეული კეთილი საქციელია. ამ ცნებას ვგულისხმობთ ჩვენ ბოლოს და ბოლოს, როცა მივმართავთ ხოლმე ადამიანთა გულმტკივნეულობას, კაცთ-მოყვარეობასა და შეწყალებას. რადგან ამგვარი მოწოდება გახსენებაა იმისი, რომ ჩვენ ყველანი ერთი და იგივე არსებისანი ვართ. წინააღმდეგ ეგოიზმი, შური, მძულვარება, დევნა, გულქვაობა, შურისძიება, ნიშნის მოგება, უწყალობა—არსთა განცალკევებაზეა დამყარებული. აღტაცება, რომელსაც ვგრძნობთ, როცა გვესმის, კიდევ უფრო—როცა ვხედავთ, ყველაზე უფრო კი როცა ჩვენ თვითონ ვასრულებთ რაიმე დიად საქმეს, იმ ღრმა საფუძველზეა დამყარებული, რომელიც გვინერგავს რწმენას, რომ პიროვნებათა მრავალნაირობისა და სხვა და სხვაობის ქვეშ იმალება მათი ერთობა, ნამდვილად არსებული და ჩვენთვის ხელმისაწვდომი, რადგან იგი საქმით გამოცხადდა.

პირველი ან მეორე ცნების, ერთობის ან განცალკევების მიმდევრობა თავის დაღს აჩნევს არა მარტო ადამიანის თვითეულ საქციელს, არამედ მთელ იმის გონებას და სულის ვითარებას, რომელიც ამის გამო კეთილ ადამიანს ბოროტ ადამიანისაგან არსებით განსხვავებული აქვს. ბოროტი გულის ადამიანი ყველგან ჰგრძნობს რაღაც მაგარ კედელს თვისა და მის გარეშემო მყოფ არსთა შორის. ქვეყანა მისთვის არის აბსოლიუტური „არა-მე“ და იმისი დამოკიდებულება მსოფლიოსთან იმ თავითვე მტრულია: ამიტომ იმისი უმთავრესი სულიერი განწყობილება ყოველთვის მტრული, იჭვიანი, შურიანი და ნიშან-მოგებიანია. კეთილი გულის ადამიანი კი არა მარტო თავის შინა, არამედ გარეშე მსოფლიოშიაც სცხოვრობს, რომელთანაც თვის ერთ-არსებას სცნობს; სხვები იმისთვის არიან „არა-მე“, ხოლო მაინც „მე“. ამიტომ იმისი განწყობილება თვითეულ ადამიანის მიმართ ყოველთვის მეგობრულია; იგი თავის გულში ყველა სულდგმულთან ნათესაობას ჰგრძნობს, იმათ ბედსა და უბედობაში პირდაპირ მონაწილეობას იღებს და, ნდობით აღსავსე, მათშიაც ამგვარ მონაწილეობას ჰგულისხმობს; იმის არსებაში ღრმად მტკიცდება—მშვიდობიანი, მტკიცე, წყნარი, კმაყოფილი სულიერი განწყობილება, რომელიც ყველა მოყვასს სიამესა ჰფენს. **ი. ნაკაშიძე.**

# უცხოეთი

**არჩევნები ინგლისში.**

უნიონისტების მეთაურმა ბალფურმა სიტყვა წარმოსთქვა ნადინგტონში და გულახდილად განაცხადა, რომ ინგლისის ერმა ლოიდ-ჯორჯის ბიუჯეტს დაუჭირა მხარი და რომ სატარიფო რეფორმის განხორციელება ჯერ-ჯერობით უნდა გადაიდვას. მაგრამ ბალფურმა ამავე დროს გადაჭრით განაცხადა, რომ ლორდებს მაინც აქვთ უფლება ზოგიერთ, იშვიათ შემთხვევაში ბიუჯეტი უარჰყონ.

ამაზე ბალფურს მკაცრი პასუხი გასცა თვით ზომიერ ლიბერალურმა „უესტმინისტერ გაზეთ“-მა: ლორდებს უთუოდ უნდა წაერთვათ უფლება ბიუჯეტის უარყოფისა, რომ მათ აღარ შეეძლოთ მომავალში იმის გამეორება, რაც წარსულ წელს მოიმოქმედეს; ეს არის ის მინიმალური მოთხოვნილება, რომელზედაც თვით ზომიერი ლიბერალებიც-კი ვერ აიღებენ ხელს. ლიბერალურ პარტიის უკიდურესი ნაწილი ხომ გაცილებით უფრო მეტს მოითხოვს.

„უესტმინისტერ გაზეთ“-ის ზომიერ აზრს მიემხრო აგრეთვე მეორე ზომიერ-ლიბერალური გაზ. „ლივერპულ პოსტ“-ი. სამაგიეროდ გამოჩენილი და გავლენიანი პროვინციალური ლიბერალური გაზ. „მანჩესტერ გვარდიან“ი გაბედულად მოითხოვს, რომ ლორდთა პალატის „ვეტო“-ს უფლება უთუოდ შეიზღუდოს. გაზეთი მკაცრად ჰკიცხავს ზომიერ ლიბერალურ გაზეთების ზემოხსენებულ რჩევას და დასძენს: ცხადია სამხრეთ ინგლისში საკმაოდ კარგად არ ესმისთ ჩრდილოეთ ინგლისის სურვილი, ცხადად გამოთქმული არჩევნების დროს: ჩრდილოეთ ინგლისმა ბეჯითად მოითხოვა კონსტიტუციის შეცვლა.

მინისტრები უინსტონ ჩერჩილი და ლოიდ ჯორჯი გადაჭრით ეწინააღმდეგებიან უოველ დათმობას და წინანდებურის გაბედულობით მოითხოვენ ლორდების ალაგმვას. ლოიდ-ჯორჯმა სიტყვა წარმოსთქვა სტროუბრიჯში გამართულ კრებაზე, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო და სხვათა შორის შემდეგი განაცხადა:

„ჩვენ გავიმარჯვეთ არჩევნებში მხოლოდ გაბედულ და მაგარ პოლიტიკის წყალობით. დარწმუნებული ვარ, რომ თუ მხდალებისა და ლაჩრების რჩევას დავუჯერებთ, მაშინ დემოკრატიის დიდებული ძალა, რომელიც არჩევნებში გულმოდგინედ ემხრობოდა მთავრობას, არა თუ მარტო გულს იცრუებს ჩვენზე, იგი ნამდვილად შეგვიზიზღებს და მიგვატოვებს ჩვენ, ლიბერალებს.

იმ ზომიერ მინისტრებს, რომლებიც ეკუთვნიან ს: მინისტროს მარჯვენა ფრთას, ჯერ არ გამოუთქვამთ თავიანთი აზრი.

„რუსკ. ვედომოსტი“-ს ატყობინებენ ლონდონიდან: „ამბობენ, რომ ლორდები თებერვალში შეუდგებიან ლორდთა პალატისა და უმუშევრობისაგან დაზღვევის შესახებ კანონპროექტების განხილვასო. მათ უნდათ ამით ხალხის გული მიიზიდონ. ლორდები უცებ უკიდურეს რადიკალებად გადიქცნენ სოციალურ საკითხებში.

დამოუკიდებელი ირლანდიელი ნაციონალისტები წინააღმდეგნი არიან ლოიდ-ჯორჯის ბიუჯეტისა.“

**ჯონ რედმონდი.**

ირლანდიელ ნაციონალისტების პარტია პირველ როლს ითამაშებს ახალ პარლამენტში, იგი იქნება ნამდვილი „ბატონი“ მისი; ლიბერალური პარტია უიმათოდ ვერას გახდება, ვერ იკისრებს სახელმწიფოს მართვა-გამგეობას. ამიტომ ინგლისური პრესა დიდს ყურადღებას აქცევს ირლანდიელების მეთაურს ჯონ რედმონდის პიროვნებას.

ჯონ რედმონდმა პარტიის მეთაურობა მოიპოვა მედგარ შრომასა, რკინის ხასიათისა და იშვიათ მხნეობის წყალობით. მისი მამა, ხელობით ნაფიცი ვექილი, არჩეული იყო ინგლისის პარლამენტის წევრად. ჯონ რედმონდმა დაასრულა დუბლინის უნივერსიტეტი და ნაფიც ვექილთა წოდებაში ჩაირიცხა. ცოტაოდენ ხანს მსახურებდა პარლამენტის კანცელარიაში მოხელედ, მაგრამ უკვე 1881 წელს ირლანდიელებმა იგი აირჩიეს პარლამენტის წევრად. მისმა პირველმავე სიტყვამ შფოთი მოახდინა: პალატის თავმჯდომარემ გააჩერა რედმონდი „მკაცრ ლაპარაკისათვის“. რედმონდი ეხლაც მკაცრად და გესლიანად ლაპარაკობს, მაგრამ უფრო ფრთხილობს, უფრო რბილ „პარლამენტალურ“ სიტყვებს ხმარობს.

პირველ წლიდანვე, რედმონდმა გავლენა მოიპოვა ირლანდიელ ეროვნულ პარტიაში და გულ-წრფელი მოხრე გახდა პარტიის განთქმულ მეთაურის პარნელისა. როცა პარტიაში განხეთქილება მოხდა, მან არ უღალატა პარნელს და შეადგინა ცალკე ჯგუფი პარნელის მომხრეებისა. პარნელის გარდაცვალების შემდეგ, რედმონდი აირჩიეს ირლანდიის ეროვნულ პარტიის მეთაურად. მან დიდი გამჭრიახობა და მოხერხება გამოიჩინა მეთაურობაში: მაგარ დისციპლინას იცავდა თავის პარტიაში, ამის წყალობით პარნელივით დიდი გავლენა მოიპოვა ინგლისის პოლიტიკურ საქმეებზე და პარლამენტს ბევრი სასარგებლო რეფორმა მოახდენინა ირლანდიისათვის; მაგალითად, ფართო თვითმმართველობა, მიწა-მამულის შესყიდვა ლორდებისაგან და სხვა. ირლანდიელ ნაციონალისტებს, რომელთა რიცხვი 80 დეპუტატს აღემატება ხოლმე, ინგლისის უოველი სამინისტრო ძალაუნებურად უწევს ანგარიშს, კონსერვატიული გაზეთები ბეჭდვენ ამნაირ ირონიულ კარიკატურებს: პირველი მინისტრი ასკვიტი მუხლ-მოდრეკილი დგას რედმონდის წინ, რომელიც თავის პირობებს უკარნახებს.

# რუსეთი

**შეკითხვა.** სახალხო განათლების მინისტრი ყველა სასწავლო ოლქების უფროსებს შეეკითხებია, რაც შე ძლება მალე შემატყობინეთ, კერძო სასწავლებლებში რუსული ენის სწავლება ცუდად ხომ არ მიდის მას შემდეგ, რაც ამ ტიპის სასწავლებლებში სწავლება ადგილობრივ ენებზედ სწარმოებს ო.

**რევიზია.** ამ ჟამად რევიზიას უშვრებიან სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზებს. სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, რევიზია შედეგია კიევის ჭეშმარიტი რუსთა თხოვნისა, სამხრეთ—დასავლეთ რკინის გზების უფროსმა ნემეშაევმა რკინის გზა „არა რუსებით“ აავსო.

**პროვოკატორები.** „ობშჩეე დელო“-ს მესამე ნომერში დაბეჭდილია სია ახლად აღმოჩენილ პროვოკატორებისა. გამოცხადებულია სულ 7 კაცის გვარი: ალექსანდრე დონცოვი, ჟორჟ მოდანი, აბრამ ხრიპლინი, სერგეი რეშეტნიკოვი, ბ. რაპოპორტი, ვალერიან მისურევიჩი და ანტონ ოზეროვი.

**სახელმწიფო სათათბიროში.** „კასპი“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: სათათბიროს კომისიამ განიხილა მემარჯვენეების შეკითხვა მილიუკოვის შესახებ. ეს შეკითხვა მემარჯვენეებმა გასულ წლის 13 თებერვალს შეიტანეს სათათბიროში. მემარჯვენეები თავიანთ შეკითხვაში სწერენ. იცის თუ არა მთავრობამ, რომ მილიუკოვმა პარიზში რევოლიუციონერების კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო, და თუ იცის რა ზომები მიიღოო. მემარჯვენეები მილიუკოვის სათათბიროდან გამორიცხვას და სამართალში მიცემას თხოულობენ კომისიის სხდომაზედ კსუპენსკის სწორედ ამ შეთხ განცხადება შეუტანია.

**დუმბაძე და ტოლმაჩევი.** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით ცნობილ შავრაზმელ ოდესის გრადონაჩალნიკს ტოლმაჩევს ფლიანდიის გენერალ-გუბერნატორის თანაშემწედ ნიშნავენ, იალტის გენერალ-გუბერნატორ დუმბაძეს კი პეტერბურგის გრადონაჩალნიკად.

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ, ამ მცირე პასუხს მისცეთ ადგილი თქვენს გაზეთ „დროებაში“, რომელშიაც 20 დეკემბერს, მე-284 ნომერში, მოთავსებული იყო სტატია სათაურით „მთავრობის მამასახლისები და მათი შენახვა“. ამ სტატიაში შემცდარი ცნობები მოჰყავს თქვენს თანამშრომელს, Legatus, შესახებ წყნარის და ყორნისის საზოგადოებისა. ამ შემცდარ ცნობებით ბევრად თუ ნაკლებ მე მდებს ბრალს. მე ვაცხადებ, რომ ამ შეცდომილ ცნობებთან მე არა დამოკიდებულება არა მაქვს-რა. ყორნისის საზოგადოებამ ამავე საზოგადოების მოხელეების შესანახავად გაიწერა ჩემგან წარსულ წელს კომლზე 3 მანათი და 73 კაპეიკი და არა 8 მანათი და 50 კაპეიკი, როგორც სწერს Legatus-ი; და წყნარის საზოგადოებამ 2 მანეთი და 67 კაპეიკი და არა 3 მანეთი და 20 კაპეიკი. ამ ფულს კრეფავენ სოფლის მოხელენი და მათვე შეაქვთ მაზრის ხაზინაში და იქ ინახება. როცა დრო მოდის ჯამაგირების მიღებისა, ჩემი მიწერილობით გამოაქვს მამასახლისს ან იმის მინდობილობით მოხელეს ეს ფული ხაზინიდან და ირიგებენ ჯამაგირში.

გარდა ამისა, Legatus-ის მიერ ნაჩვენებია ყორნისის საზოგადოებაში 1,400 მანეთი და წყნარის საზოგადოებაში 425 მანეთი ხარჯის აღმატებული, ე. ი. ჯამაგირების დარიგების შემდეგ დარჩენილი, სიმართლეს მოკლებულია. რა დარჩებოდა, როდესაც ჯამაგირების დასაკმაყოფილებლად ჯერაც სრულად არ შემოსულა გაწერილი ფული და მოხელეები ელიან, როდის გაუსწორდებიან ამათ სამსახურის ფულს. სამწუხაროა, რომ სოფლის გარემოების ამწერნი უსწორო გზას მიმართვენ ხოლმე ცნობების შესაკრებად. ჩემი კანცელარია ღიაა ყველასათვის და დაუზარებლივ შეუძლიათ შეიტყონ ჩემგნით ნამდვილი ცნობები სოფლის შესახებ ან არა და მივასწავლებ ნამდვილ გზას ამათ შესატყობინებლად.

შუამავალი მომრიგებელი VI განყოფილებისა თავადი **მ. მ. ერისთავი.**

—

ბ-ნო რედაქტორო! ნება მოგვეცით, თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადოთ შემდეგ პირებს, რომელთაც შემოწირულებით დახმარება გაუწიეს ბაღდადის წიგნთსაცავ-სამკითხველოს: ნატალია გიგაური—შვიდი ცალი წიგნი თავის თხუზლებისა, ილიკო გვანცელაძე—ყოველ წლიურად ორ-ორი მანეთი, ალექსანდრე კვირკაძე—ერთი წლით ჟურნალი „ნაკადული“ და ერთი მანეთი ფულად, სამსონ ახვლედიანი—ორი მანეთი, ბესარიონ აბულაძე—ოცი ცალი ქართული წიგნი, ვალიკო ფურცელაძე—ერთი მანეთი და ილიკო ჰაუტიძე—ორი აბაზი.

წიგნთსაცავ-სამკითხველოს წევრნი:
**ერმილე დვალიშვილი**
**ანტონ ბუცხრიკიძე.**


# განცხადებანი

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—44)

მალიან იაფად

**ხე-ხილის ხეებს**

ყოველგვარ საუკეთესო ზამთრის ჯიშისას, მსხალსა და ვაშლს ჰყიდის ქართლის საუფლის-წულო მამული. ადრესი: ст. Ксанка, З. Ж. дороги. (3—1032—3)

**თ ი ვ ა**

პრესში გატარებულს კარგი თივისებისას, ცალებად შეკრულს ჰყიდის ქართლის საუფლისწულო მამული 40 კაპ. ფუთს. პირობას ვაძლევთ, რომ დამპალი არ გამოდგება. ფრანკო სად. ქსანკა ვაგონებით დაკვეთილი. ადრესი: ст. Ксанка З. Ж. Дороги. (3—1033—3)

**ღვინის კარგი ბოთლები**

¹/₁₆ ვედროსი არის ბლომად ვ. ი. კახაბერის ხაზებში. [illegible] ტფილისი, [illegible] N 1, [illegible] ძის კახაბერს. (3—124—3)

# სანერგე ამერიკულ ვაზისა

„კლო ეგურული“ ქუთაისში.

● უდიდესი ასორტიმენტი რუსეთში ●

1200 ამერიკული, ევროპიული და აზიური სასმელ და საჭმელ ყურძნის ჯიში და გიბრიდები.

მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ განმარტებანი და პრეის-კურანტები.

აქვე იღებენ ბავშვებს სამეურნეო მუშაობის შესასწავლად. (0—6.—19)

# პროვოდნიკის



1897 წ.




ФАБРИЧ. КЛЕЙМО ПРОВОДНИКЪ РИГА Т. Р. Т. Ф. З.

1888

1908 წ.

# ამხანაგობა
## რიგაში

საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში

სოლოლაკის ქუჩა, № 4.

● იყიდება ნაღდად და ვალოგით: ●

**რეზინის, კანაფის და სხვა მილები სხვა და სხვა საქმისთვის,**

**რეზინის ტეხნიკური და ელექტრო-ტეხნიკური ნაწარმოები და ფოტოგრაფიის კუთვნილებები,**

**რქის რეზინისა და ებონიტის ნაწარმოებები,**

**იზოლაციონი და საკაბელო კუთვნილებები,**

**რეზინის საქირურგიო და სამკურნალო ნაწარმოებები,**

**რეზინის სათამაშოები და ბურთები,**

**რეზინის საგალანტერეინო საქონელი,**

**საშლელი რეზინი „სპილოს“ მარკისას**


სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3. რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე.